Climate Basics

საქართველოს კლიმატის პოლიტიკა: ევროინტეგრაციის კვალდაკვალ

The Politics of Climate Change in Georgia: Towards EU Integration

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი

ავტორები: გვანცა გვერდწითელი, ნინო ჯანაშია

რეცენზირება: ირაკლი სამხარაძე, ქეთევან ვარდოსანიძე, თამარ ანთიძე

რედაქტორი: ნინო საითიძე

დოკუმენტის დიზაინი და დაკაბადონება: სოფო მესხიშვილი

კვლევის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ა(ა)იპ ქლაიმათ ბეიზიქსის ვებგვერდიდან:

www.climatebasics.info

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი

კვლევა ჩატარდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის (HBS) მწვანე აკადემიის მონაწილეთათვის გამოცხადებული მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ან/და ქლაიმათ ბეიზიქსის მოსაზრებებს. პუბლიკაციაში გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები.

თბილისი, საქართველო 2022

საქართველოს კლიმატის პოლიტიკა[1]: ევროინტეგრაციის კვალდაკვალ

The Politics of Climate Change in Georgia: Towards EU Integration

თბილისი 2022

[1] ქართულად ტერმინ „პოლიტიკას“ სამი მნიშვნელობა აქვს – Policy, Politics, Polity, კვლევაში ტერმინი „პოლიტიკა“ ძირითადად გამოყენებულია Politics მნიშვნელობით.

სარჩევი

მკითხველის გზამკვლევი 5

საკვანძო სიტყვები 5

თავი 1: შესავალი 6

1.1. კვლევის კონტექსტი და აქტუალურობა 6

1.2. კვლევის მიზანი და ამოცანები 10

1.3. კვლევის მეთოდები 10

1.4. შეზღუდვები 12

თავი 2: ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკა და „მწვანე“ ევროპეიზაცია 13

2.1. ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკა 13

2.2. ევროპეიზაცია: პოლიტიკური პირობითობა და სოციალიზაცია 17

2.3. „მწვანე“ ევროპეიზაციის მექანიზმები 19

2.4. ევროპის მწვანე შეთანხმების შემდგომი მთავარი გზავნილები 22

თავი 3: კლიმატის ცვლილების პოლიტიკა და საქართველო 24

3.1. პოლიტიკოსების როლი კლიმატის პოლიტიკაში 24

3.2. პარტიების იდეოლოგიური დაყოფა საქართველოში 26

3.3. ქართველი პოლიტიკოსები კლიმატის პოლიტიკაზე 29

- კლიმატის პოლიტიკის მნიშვნელოვნება 30
- პოზიტიური ლიდერი 34
- მულტილატერალიზმი 35
- მულტისექტორულობა 36
- მწვანე ზრდა და მდგრადი განვითარება 37
- სუფთა ტექნოლოგიები და საბაზრო მექანიზმები 39
- შესაძლებლობები და ბენეფიტები 41
- პოსტპანდემიური კრიზისიდან გამოსვლა 42

დასკვნა 44

გამოყენებული ლიტერატურა 47

მკითხველის გზამკვლევი

კვლევის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს პოლიტიკური ელიტის კლიმატის პოლიტიკასთან დაკავშირებული დისკურსების ანალიზი, ევროკავშირთან ინტეგრაციის ჭრილში. კერძოდ, მე-10 მოწვევის პარლამენტის, როგორც მმართველი პარტიის, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერი პოლიტიკოსების ხედვების გამოვლენა და გაანალიზება, თუ რამდენად თანხვედრაში ან/და წინააღმდეგობაშია ეს ხედვები ევროკავშირის გაცხადებულ კლიმატის პოლიტიკასთან.

პირველ თავში წარმოდგენილია ზოგადი კონტექსტი, თუ რატომ უნდა იქნეს კლიმატის ცვლილება გააზრებული როგორც კომპლექსური პრობლემა, რომლის მოგვარებაც სხვადასხვა დაინტერესებული პირის ჩართულობას მოითხოვს, მათ შორის, პოლიტიკოსების აქტიურ ჩართულობასაც. **მეორე თავში,** კვლევის ერთ-ერთი ამოცანის შესაბამისად, მიმოხილულია ევროკავშირის კლიმატის ცვლილების საგარეო პოლიტიკა, ევროპეიზაცია და, ასევე, ევროკავშირთან ასოცირების ხელმომწერი ქვეყნების „გამწვანების“ პროცესში გამოყენებული ძირითადი მექანიზმები. ხოლო **მესამე თავში** შეჯამებულია ქართველი პოლიტიკოსების ხედვები და დისკურსები კლიმატის პოლიტიკის იმ საკითხებზე, რომლებიც გამოიკვეთა როგორც ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკის საკვანძო საკითხები.

თემის კომპლექსურობის, შეზღუდული დროისა და რესურსების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე კვლევა არ წარმოადგენს საკითხის სრულყოფილ ანალიზს და არის მხოლოდ პირველი მცდელობა, წამოვიწყოთ დიალოგი კლიმატის პოლიტიკაზე (politics).

საკვანძო სიტყვები

კლიმატის ცვლილება **კლიმატის პოლიტიკა (politics)** **პოლიტიკოსები**

პარტიები **მწვანე ზრდა** **დეკარბონიზაცია** **ევროპეიზაცია**

ევროპასთან ინტეგრაცია

თავი 1: შესავალი 1

1.1. კვლევის კონტექსტი და აქტუალურობა

კლიმატის ცვლილება ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მთავარი გამოწვევაა. ბოლო ათწლეულებია მეცნიერები თანხმდებიან, რომ ადამიანის ეკონომიკურმა საქმიანობამ იმგვარი გავლენა მოახდინა დედამიწის სისტემაზე, რომ შედეგად, ახალ და განსხვავებულ გეოლოგიურ ეპოქაში – ანთროპოცენში შევედით (Eckersley, 2017). არსებობს მეცნიერული მტკიცებულებებისა და ფაქტების მზარდი რაოდენობა (IPCC, 2014, 2018, 2021) ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის შედეგად გაფრქვეული სათბურის აირების გლობალურ კლიმატის ცვლილებაზე პირდაპირი ზეგავლენის შესახებ, რის შედეგადაც საფრთხის წინაშე არიან როგორც ადამიანები, ასევე, უკვე მთელი დედამიწის ეკოსისტემა.

ერთი მხრივ, მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები თანხმდებიან და ერთხმად მოუწოდებენ ქვეყნებს, დაუყოვნებლივ და მნიშვნელოვნად შეამცირონ სათბურის აირების ემისიები (IPCC, 2021). მეცნიერთა ამ უპრეცედენტო თანხმობის მიუხედავად, არაერთგვაროვანი და განსხვავებული მიდგომები და ხედვები აქვთ პოლიტიკოსებს. ბოლო წლებში, პოლიტიკური განხილვები კლიმატზე სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში, ასევე, ზოგიერთი ქვეყნის ეროვნულ პოლიტიკურ დისკუსიებსა და ადგილობრივ საპარლამენტო არჩევნებში. კლიმატის კრიზისი აქტიურად განიხილება როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში, გლობალურ ჩრდილოეთსა და სამხრეთში. ევროკავშირის ქვეყნებში აღინიშნება მწვანე პარტიების პოპულარობის და მწვანე პოლიტიკის საკითხების აქტუალურობის ზრდა (Graham-Harrison, 2019).

პოლიტიკური პარტიების უთანხმოება და განსხვავებული ხედვები ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ კლიმატის ცვლილება გამორჩეულად კომპლექსური პრობლემაა (wicked problem). შესაბამისად, რთულია მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა და ღონისძიებების დაგეგმვა, პრობლემის დეფინიცია ან შემოსაზღვრა. კლიმატის პოლიტიკა ასევე პირდაპირ ეხება ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროს და არსებული რეალობის გარდაქმნას მოითხოვს. ეკონომიკური საქმიანობის ცვლილება კი არაერთი მსხვილი ბიზნესაქტორისა თუ ინდუსტრიის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამასთანავე, კლიმატის ცვლილება არ ცნობს სახელმწიფო საზღვრებს (transboundary). შესაბამისად, განსაკუთრებით რთულია მისი პოლიტიკის (policy) ჩარჩოებში მოქცევა (Dovers, 1996; Dryzek et al., 2002; Hausknost & Hammond, 2020).

ეს ყველაფერი იმის ფონზე, როდესაც უმნიშვნელოვანესია, რომ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, აქტიურად ჩაერთონ სათბურის აირების შერბილებისა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის აქტივობებში. სწორედ ამას უსვამს ხაზს 2015 წლის პარიზის შეთანხმებაც, რომელიც

ყველა ხელმომწერ მხარეს მოუწოდებს ეროვნულ დონეზე გაატაროს კლიმატის ცვლილების ამბიციური პოლიტიკა. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სახელმწიფოს პოლიტიკისა და ეროვნული პოლიტიკური ინსტიტუტების როლი გადამწყვეტია კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის გლობალურ ძალისხმევაში (Aamodt, 2018).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კლიმატის პოლიტიკის გატარებაში ტექნიკურ ექსპერტებსა და დარგობრივ მეცნიერებს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით. სწორედ ისინი აფასებენ კლიმატის ცვლილების და გარემოს დეგრადაციის სიმწვავეს და მონაწილეობენ ამ პროცესის შედეგების (ან პოტენციური შედეგების) დადგენასა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაში. თუმცა, ეს იმას არ გულისხმობს, რომ სახელმწიფოს კლიმატის პოლიტიკის მიმართულებები და პრიორიტეტები მხოლოდ მეცნიერებმა და ტექნიკურმა ექსპერტებმა უნდა განსაზღვრონ (Machin, 2020).

კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული კლიმატის პოლიტიკა დაიგეგმოს საზოგადოების ფართო წრეების ჩართულობით, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, ასევე, პოლიტიკური განხილვების შედეგად, რადგანაც კლიმატის ცვლილება მხოლოდ ბუნებრივი/ფიზიკური მოვლენა არაა. ეს პროცესი სულ უფრო და უფრო მეტად იკვეთება როგორც სოციალური ფენომენი, რომელსაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი სხვადასხვაგვარად აღიქვამს და განიცდის (Hulme, 2013). საზოგადოების მიერ კლიმატის ცვლილების, როგორც რისკის, აღქმა და გააზრება სხვადასხვა სუბიექტური, ინდივიდუალური თუ კოლექტიური გამოცდილების შედეგად ხდება, და პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და მორალური ფაქტორებითაა განსაზღვრული (Hopkins, 2013). შესაბამისად, მნიშვნელოვანია კლიმატის კრიზისი განიხილებოდეს განვითრებადი ქვეყნების ეროვნულ პოლიტიკურ (politics) დონეზეც, სხვა არსებულ მწვავე სოციალურ თუ ეკონომიკურ საკითხებთან ერთად, რათა გათვალისწინებულ იქნეს ქვეყნისთვის სპეციფიკური, კლიმატის ცვლილების პირდაპირი თუ არაპირდაპირი შედეგები და გავლენები, როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში.

საქართველო პარიზის შეთანხმების ხელმომწერი ქვეყანაა. შეთანხმება დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 თებერვალის #96 დადგენილებით. დამტკიცებიდან შიდასახელმწიფოებრივი და სხვა პროცედურების გავლის შემდეგ შეთანხმება ძალაშია 2017 წლის 7 ივნისიდან. აღსანიშნავია, რომ კლიმატის სამივე ძირითადი ხელშეკრულება (გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენცია, კიოტოს ოქმი, პარიზის შეთანხმება) ძალაშია საქართველოსთვის და, როგორც ყველა ძირითადი კლიმატის საერთაშორისო შეთანხმების ხელმომწერ ქვეყანას, საქართველოს აქვს არაერთი კლიმატის ცვლილების პოლიტიკის (policy) ეროვნული დოკუმენტი. მათ შორის, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი, კლიმატის სამოქმედო სტრატეგია, კლიმატის სამოქმედო გეგმა და სხვა. ქვეყანა ასევე აქტიურად მონაწილეობს კლიმატის ცვლილების თემაზე გამართულ ყველა ოფიციალურ საერთაშორისო მოლაპარაკებაში. მიუხედავად ამისა, სფერო არ არის სამართლებრივად სათანადოდ რეგულირებული და დისკუსიები კლიმატის ცვლილების საკითხებზე თითქმის არასოდეს სცდება ტექნიკური ექსპერტების ვიწრო წრეებს. კლიმატის ცვლილება ჩამოყალიბდა როგორც

სამინისტროების ნიშური დარგი, სადაც გადაწყვეტილებებს ძირითადად ტექნიკური პერსონალი იღებს. ერთი შეხედვით იკვეთება, რომ პოლიტიკურ (politics) დონეზე კლიმატის ცვლილების საკითხი არ განიხილება, საქართველოს პოლიტიკური პარტიები ნაკლებად ინტერესდებიან მსოფლიოში მიმდინარე მწვანე ტენდენციით.

გასათვალისწინებელია, რომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების დეპოლიტიზება წარმოქმნის პრობლემებსა და რისკებს, როგორიცაა, მაგალითად:

ეროვნული კლიმატის ცვლილების პოლიტიკის დაგეგმვაში ვერ ერთვებიან საზოგადოების ფართო წრეები, დაინტერესებული ჯგუფები. შესაბამისად, პროცესი არ შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულად ან წარმომადგენლობითად. პრაგმატულადაც და პრინციპულადაც ძალიან მნიშვნელოვანია, კლიმატის დიალოგში მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მათი ცნობიერების ამაღლება, ინფორმირება და ჩართვა.

დეპოლიტიზების შედეგად კლიმატის პოლიტიკის დაგეგმვა არ ფარავს ისეთ თემებს, როგორიცაა სოციალური სამართლიანობის საკითხები, სამართლიანი ტრანზიცია[2], ადამიანის უფლებები, უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების და უთანასწორობის საკითხები და ა.შ.

თუკი პოლიტიკური კლასი ნაკლებად იქნება ჩართული კლიმატის პოლიტიკის დაგეგმვაში, იქმნება ამბიციური კლიმატის პოლიტიკის მიმღებლობის, ლეგიტიმაციისა და საჭირო ცვლილებების საკანონმდებლო დონეზე გატარების საფრთხე.

[2] 2018 წელს UNFCCC-ის 24-ე მხარეთა კონფერენციის (COP24-ის) დროს საქართველო არ შეუერთდა „სოლიდარობის და სამართლიანი ტრანზიციის სილეზიის დეკლარაციას“ (“Solidarity and Just Transition Silesia Declaration”).

საფრთხეშია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაც. საქართველო უკვე საგრძნობლად ჩამორჩება მსოფლიოს მწვანე ეკონომიკის, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის, ეკონომიკური სექტორების დეკარბონიზაციის, მწვანე სამუშაო ადგილებისთვის კადრების მომზადების თუ სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებების განვითარებაში, რაც მის გრძელვადიან სოციალურ თუ ეკონომიკურ კეთილდღეობაზე უარყოფითად აისახება (იხ. სამხარაძე et al., 2021).

გარდა იმისა, რომ კლიმატის პოლიტიკა თავისთავად უმნიშვნელოვანესი თემაა განურჩევლად ყველა ქვეყნისთვის და დაინტერესებული მხარისთვის, ამბიციური კლიმატის პოლიტიკის დაგეგმვა-იმპლემენტაცია განსაკუთრებით საყურადღებოა ქართველი პოლიტიკოსებისთვის, იმ ქვეყნის პოლიტიკური კლასისთვის, რომლის განაცხადია წარმატებით განახორციელოს ევროკავშირთან ასოცირების წინაპირობები და, მეტიც, უახლოეს მომავალში გააკეთოს ევროკავშირის წევრობის განაცხადი.

ცნობილია, რომ ევროკავშირი საკუთარ თავს მოიაზრებს ლიდერად კლიმატის ცვლილების პრობლემის გადაჭრის გზაზე. განსაკუთრებით კი „ევროპის მწვანე შეთანხმების“ (European Green Deal) შემდგომ პერიოდში მომსწრენი ვართ ევროკავშირის სხვადასხვა მექანიზმის სრული მობილიზაციის, რათა არა მხოლოდ ევროკავშირი გახდეს მსოფლიოს პირველი კლიმატნეიტრალური კონტინენტი, არამედ მისი მწვანე-დაბალნახშირბადიანი ზრდის მოდელი იქცეს მაგალითად მსოფლიოს დანარჩენი ნაწილისთვისაც. განსაკუთრებით კი, მეზობელი, ასოცირების ხელშეკრულების ხელმომწერი და „ენერგეტიკული გაერთიანების“ (Energy Community) წევრი ქვეყნებისათვის. ცხადია, უკვე დაიწყო და მომავალ წლებში კიდევ უფრო გაძლიერდება ე.წ. ასოცირებული ტრიოს (მოლდოვა, საქართველო, უკრაინა) „გამწვანების“ პროცესი. შესაბამისად, საქართველოს ევროინტეგრაციის ჭრილში თუკი პრიორიტეტული არ იქნება ის დღის წესრიგი და გრძელვადიანი ხედვა, რაზეც ევროკავშირის ქვეყნები თანხმდებიან, ნაკლებსავარაუდოა, მან ევროპასთან ინტეგრაციის ეტაპები წარმატებით განვლოს.

1.2. კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მთავარი მიზანი იყო, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის ჭრილში გამოგვევლინა, მე-10 მოწვევის პარლამენტის როგორც მმართველი პარტიის, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი ლიდერი პოლიტიკოსების ხედვები რამდენად თანხვედრაში ან/და წინააღმდეგობაშია ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკასთან, პოლიტიკურ დისკურსებსა და გრძელვადიან ხედვებთან. მიზნის მისაღწევად დაიგეგმა შემდეგი ეტაპები:

- ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკის ძირითადი პოლიტიკური დისკურსების გამოვლენა
- ევროკავშირის მიერ მეზობელ ქვეყნებში გამოყენებული „გამწვანების“ მექანიზმების გამოკვეთა
- ქართველი პოლიტიკოსების კლიმატის პოლიტიკასთან დაკავშირებული ხედვების და დისკურსების ანალიზი

ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ კლიმატის ცვლილება კომპლექსური სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემაა. მის გადასაჭრელად მხოლოდ მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევები არაა საკმარისი (Carter & Charles, 2009, p. 15). ასევე, ევროკავშირთან ინტეგრაციის კვალდაკვალ, უმნიშვნელოვანესია კლიმატის პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების პოლიტიკური ასპექტების საფუძვლიანი განხილვა და გაანალიზება.

1.3. კვლევის მეთოდები

მიზნისა და შესაბამისი ამოცანების შესასრულებლად გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები, როგორიცაა სამაგიდო კვლევა და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები. კვლევა სამ ძირითად ეტაპად დაიგეგმა.

I **პირველ ეტაპზე** განხორციელდა სამაგიდო კვლევა და მეორადი მონაცემების ანალიზი, შეირჩა თეორიული ჩარჩო და შედგა შესაბამისი კითხვარი. ამავე პერიოდში გადაიხედა ევროპარლამენტარების დებატები და მათი პოლიტიკური დისკურსები „ევროპის მწვანე შეთანხმებასთან“ დაკავშირებით.

II **კვლევის მეორე ეტაპზე** დაიწყო ველის პირველი ნაწილი (ველი I). 2021 წლის აგვისტოში ჩაიწერა ინტერვიუები საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მაღალი თანამდებობის პირებთან. ინტერვიუ ჩატარდა ასევე საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საელჩოს წამომადგენლებთანაც, რადგანაც 2021 წლის შემოდგომაზე გაერთიანებული სამეფო მასპინძლობდა კლიმატის ცვლილების 26-ე კონფერენციას[3]. ინტერვიუ ასევე ჩატარდა დარგობრივ ექსპერტებთან. შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოიყო ძირითადი პოლიტიკური გზავნილები და დისკურსები და შედგა შესაბამისი კითხვარი ქართული მხარისთვის.

III **კვლევის მესამე ეტაპზე** (ველი II) ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის მმართველი და ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან. რესპონდენტებად სპეციალურად შეირჩნენ პარტიის ლიდერები, სახეები და/ან მერობის კანდიდატები, რომლებმაც ინტერვიუს დროს, თავიანთი სუბიექტური მოსაზრებების გარდა, პარტიის იდეოლოგიიდან გამომდინარე დისკურსებიც გააჟღერეს.

პოლიტიკოსებთან ჯამში ჩატარდა 15 ინტერვიუ, აქედან 4 რესპონდენტი იყო მმართველი პარტიიდან და 11 – საპარლამენტო ოპოზიციიდან. რაც შეეხება გენდერულ დაყოფას, 5 რესპონდენტი იყო ქალი და 10 – კაცი. ინტერვიუები ჩატარდა 2021 წლის აგვისტო – ნოემბრის განმავლობაში.

[3] რესპონდენტების განცხადებით ინგლისი საქართველოში სრულად უჭერს მხარს ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკას.

კვლევის ანალიზის დროს, პარტიები იდეოლოგიური მხარეებად კლასიფიცირდა ორი ვებპლატფორმის გამოყენებით: partiebi.ge და kompasi.partiebi.ge (EECMD, n.d.; Krouwel et al., 2021). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე ეს იდეოლოგიური დაყოფა ვერ იქნება მკაცრი. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური პარტიების ხედვების ანალიზისას კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო იდეოლოგიური ჩარჩოს გამოყენება.

1.4. შეზღუდვები

კლიმატის ცვლილება მრავალმხრივი და კომპლექსური თემაა. კლიმატის პოლიტიკის საკითხები შეიძლება ეხებოდეს სათბურის აირების ემისიების შემცირებას, კლიმატის ცვლილების შედეგებთან ადაპტაციას, კლიმატის ფინანსების მართვას, მწვანე ზრდას, მდგრად ენერგეტიკულ განვითარებას, განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტური დაგეგმარების საკითხებს, ადგილობრივი თვითმმართველობის დაბალემისიიან განვითარებას, სამართლიან ტრანზიციას, ჯანდაცვას, ადამიანის უფლებებს და სხვა. ამასთანავე, კლიმატის პოლიტიკაში, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ და მუნიციპალურ დონეებზე, ბევრი დაინტერესებული მხარეა ჩართული. მოცემული მცირემასშტაბიანი კვლევა შემოიფარგლება ძირითადად დეკარბონიზაციის ევროკავშირისეული ხედვით და ამ ხედვებზე უკუკავშირის მეშვეობით საქართველოს პოლიტიკური კლასის ძირითადი დისკურსების გამოვლენით.

კვლევის დროს მთავარი დაბრკოლებები დაკავშირებული იყო როგორც თავად თემის კომპლექსურობასთან, ასევე მსოფლიოს მასშტაბით მსგავსი კვლევების წარმოების გამოცდილების სიმწირესთან. პოლიტიკოსებთან ინტერვიუების დროს დამატებითი დაბრკოლება იყო 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების წინასაარჩევნო მზადება და დაძაბულობა, ხოლო არჩევნების შემდგომ – კიდევ უფრო გაღრმავებული პოლიტიკური კრიზისი და პოლარიზაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვერ მოხერხდა საქართველოს პარლამენტის მემარცხენე-კონსერვატორი პარტიების (პატრიოტთა ალიანსი, ევროპელი სოციალისტები) წარმომადგენლებთან დაკავშირება. შესაბამისად, კვლევის ანალიზი ვერ იქნება გენერალიზებული ამ იდეოლოგიური ბლოკის წარმომადგენლებზე.

თავი 2: ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკა და „მწვანე“ ევროპეიზაცია

2

2.1. ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკა

სანამ უშუალოდ საქართველოს მაგალითზე გადავიდოდეთ, კვლევის პირველი ამოცანის შესაბამისად, ვრცლად მიმოვიხილავთ, თუ რა როლი ჰქონდა ევროკავშირს ისტორიულად კლიმატის პოლიტიკის წარმოებაში და როგორ ახდენს საკუთარი თავის პოზიციონირებას, რათა შედეგად ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკის ძირითადი გზავნილები და სტილი გამოვკვეთოთ.

ისტორიულად, კლიმატის გლობალური მმართველობისა და გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციის (UNFCCC-ს) დაარსების დღიდანვე, ევროკავშირის წევრი ქვეყნები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო მოლაპარაკებებში. თვითონ ევროკავშირი, როგორც ერთიანი ძალა, 1995 წლამდე არ იყო ოფიციალურად წარმოდგენილი UNFCCC-ში. მიუხედავად ამისა, ის აქტიურად უჭერდა მხარს კლიმატის სავალდებულო შეთანხმების იდეას, რაც ქვეყნებისთვის სათბურის აირების შემცირების იურიდიულად სავალდებული მიზნის დაწესებას გულისმობდა (Bäckstrand & Elgström, 2013). ნორმატიულად კლიმატის პოლიტიკაზე ევროკავშირის პოზიცია თავიდანვე ემყარებოდა მულტილატერალიზმის და მდგრადი განვითარების იდეას, და მოიცავდა ე.წ. სიფრთხილის პრინციპს, კლიმატის ცვლილებაზე არსებული მეცნიერული ცოდნისა და მტკიცებულების სერიოზულად აღქმას (van Schaik & Schunz, 2012). მულტილატერალიზმის არსის შესაბამისად, ევროკავშირი ყოველთვის მხარს უჭერდა კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის საერთაშორისო შეთანხმების გზით განხორციელებას, და ეწინააღმდეგებოდა მცირე კოალიციებსა თუ კონკრეტულ ქვეყნებს შორის ექსკლუზიური ორმხრივი შეთანხმებების გაფორმებას (Victor, 2011). ეს მიღწეულ იქნა კიდეც კიოტოს ოქმის გაფორმებით 1997 წელს. თუმცა, მაშინ ევროკავშირს მაინც მოუწია ამერიკის შეერთებულ შტატებთან (აშშ-სთან) დათმობაზე წასვლა და ოქმში საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული სუფთა განვითარების მექანიზმის შეტანა (Walker & Biedenkopf, 2018). 1990-იანი წლების ბოლოს კლიმატის გლობალურ პოლიტიკაში ევროკავშირის, როგორც ლიდერის როლს მოწმობდა ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდისთვის სათბურის აირების შემცირების ყველაზე ამბიციური მიზანი – 1990 წლის დონესთან შედარებით ემისიების 8%-ით შემცირება 2010 წლამდე – სწორედ ევროკავშირს ჰქონდა დასახული (Bäckstrand & Elgström, 2013).

ევროკავშირს ხშირად ახასიათებენ, როგორც პოზიტიურ ლიდერს, რაც უკავშირდება მის მიზანს, მაგალითის მიცემით, ხელი შეუწყოს მსოფლიოს გარშემო კლიმატის პოლიტიკის ამბიციის ზრდას (Walker & Biedenkopf, 2018, p. 34). 1990-იან წლებში ევროკავშირის შიდა პოლიტიკა საკმაოდ ჩამორჩებოდა მის, როგორც საერთაშორისო ლიდერის სახეს. ამ პერიოდში კრახი განიცადა ევროკავშირის მცდელობამ, შემოეღო საერთო ევროპული ნახშირბადის/ენერგეტიკის გადასახადი, ხოლო ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის პროგრამები საკმაოდ ნელა ვითარდებოდა (Oberthür & Roche Kelly, 2008). შიდაპოლიტიკურ დონეზე ევროკავშირი შედარებით რბილ, ნებაყოფლობით პოლიტიკას ატარებდა, რაც ძირითადად გავლენიანი ავტოინდუსტრიის წნეხის შედეგი იყო. ავტოინდუსტრია ეწინააღმდეგებოდა იურიდიულად სავალდებულო შეთანხმების იდეას (Oberthür & Roche Kelly, 2008).

2005-2009 წლებში, როდესაც კლიმატის კიოტოს შემდგომი შეთანხმების მიღებისთვის მოლაპარაკებები მიდიოდა, ევროკავშირი კვლავ აქტიურ პოზიციაზე იყო. ამ პერიოდისთვის ევროკავშირის შიდა პოლიტიკამაც მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა და გაერთიანებამ შეძლო ყოვლისმომცველი და ამბიციური პოლიტიკის განვითარება. ევროკავშირის ქვეყნებმა შემოიღეს სათბურის აირების შემცირების მიზნები, რასაც თან ახლდა განახლებადი ენერგიის სექტორის განვითარებისა და ენერგომოხმარების შემცირების გეგმებიც (Oberthür & Roche Kelly, 2008). შიდა დონეზე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ მიღებული ემისიების შემცირების მიზნები აღიბეჭდა ევროკავშირის სუპრანაციონალურ კანონშიც. შედეგად, როგორც ობერთიური და როშე კელი (2008) აღნიშნავენ, 2007 წელს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მეთაურებმაც აიღეს „დამოუკიდებელი ვალდებულებები". ამ ყველაფერმა ევროკავშირის საერთაშორისო რიტორიკასაც მეტი სანდოობა შესძინა. საერთაშორისო დონეზე მოლაპარაკებების დროს, მულტილატერალიზმის პრინციპებზე დაფუძნებით, ევროკავშირი კვლავ მოითხოვდა კლიმატის გლობალური შეთანხმების შექმნას, რომელიც განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებულ უთანხმოებას მოაგვარებდა (Walker & Biedenkopf, 2018).

თუმცა, ევროკავშირს მაინც უჭირდა წევრი ქვეყნების ინტერესების გაერთიანება და კლიმატის პოლიტიკაზე „ერთი ხმით" საუბარი. იმ პერიოდში შიდა კოორდინაციის საკითხებს საკმაოდ დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა, რის გამოც ევროკავშირს ნაკლები დრო რჩებოდა კლიმატის დიპლომატიისთვის. შიდა უთანხმოებამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო კიდეც 2009 წელს კოპენჰაგენში გამართული UNFCCC-ის მე-15 მხარეთა კონფერენციის (COP15-ის) კრახს (Walker & Biedenkopf, 2018). აღნიშნული უთანხმოების გარდა, კოპენჰაგენის სამიტის მიმდინარეობისას ისეთი დიდი მოთამაშეები, როგორებიც აშშ და ჩინეთი არიან, არ აღმოჩნდნენ მზად შეთანხმების მისაღწევად. კოპენჰაგენის სამიტზე ქვეყნები ვერ შეჯერდნენ სავალდებულო საერთაშორისო შეთანხმებაზე. ამის საპირისპიროდ, შეთანხმებას მიაღწიეს ნებაყოფლობითი „დაპირების და განხილვის" (pledge-and-review) სისტემის შემოღებაზე (Christoff, 2010). გარკვეულწილად, ეს იყო ახალი გლობალური წესრიგი კლიმატის მმართველობაში, სადაც ნებაყოფლობით დაპირებებს

მეცნიერებაზე დაფუძნებული სავალდებულო მიზნები ანაცვლებდა (Bäckstrand & Elgström, 2013). კოპენჰაგენის სამიტის შემდეგ ევროკავშირისთვის ცხადი გახდა, რომ საჭირო იყო კლიმატის დიპლომატიის გაძლიერება. ასევე, მოლაპარაკების სხვა მხარეების ეროვნული პოლიტიკური თუ ეკონომიკური კონტექსტისა და პოზიციების გათვალისწინება.

2015 წელს გაფორმებული პარიზის შეთანხმება საბოლოო ჯამში ასახავს ევროკავშირის სურვილსა და პრიორიტეტებს: პარიზის შეთანხმება გლობალური ხელშეკრულებაა, სადაც ყველა მხარე იღებს საერთო, მაგრამ დიფერენცირებულ ვალდებულებას. თუმცა, ევროკავშირს აქაც მოუწია დათმობაზე წასვლა. შეთანხმება მოითხოვს, მხარეებმა კლიმატის ცვლილების შერბილების უფრო და უფრო ამბიციური მიზნები წარადგინონ. ანუ, სავალდებულოა თავად პროცესი. არ არსებობს ამ მიზნების შესრულების იურიდიული ვალდებულება, რისი შემოტანაც ევროკავშირს წლებია სურდა (Walker & Biedenkopf, 2018, p. 37).

დღეს კლიმატის ცვლილება ცენტრალურ ადგილს იკავებს ევროპის როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო პოლიტიკაში. ისტორიული მნიშვნელობისაა „ევროპის მწვანე შეთანხმება“, რომლის კომუნიკაციაც ევროკავშირმა 2019 წლის დეკემბერში მიიღო. ევროკავშირი აპირებს, 2030 წლამდე 1990 წელთან შედარებით სათბურის აირები 55%-ით შეამციროს (European Commission, n.d.-a). ასევე, 2021 წლის 28 ივნისს ევროკავშირმა რეგულაციის ფორმით მიიღო „ევროპის კლიმატის კანონი“. ამ კანონით „საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდა 2050 წლისთვის მისაღწევი სათბურის აირების სუფთა-ნულოვანი ემისია და ამისთვის შესაბამისი ზომების გატარება“ (სამხარაძე, 2021). საბოლოო ჯამში, „ევროპის მწვანე შეთანხმება“ მიზნად ისახავს ეკონომიკის ძირეულ ტრანსფორმაციას და 2050 წლისთვის ევროპის კონტინენტზე კლიმატნეიტრალურობის მიღწევას, რაც „ხელშემკვრელი ქვეყნებისა და სამეზობლო რეგიონების მასშტაბით რისკებსა და შესაძლებლობებს შორის გონივრულ ბალანსს მოითხოვს“ (სამხარაძე, 2021). შესაბამისად, შეთანხმება სცდება კლიმატის ან გარემოსდაცვითი სტრატეგიის ფარგლებს. როგორც თავად ევროკავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა:

> *ეს არის ევროკავშირის ნომერ პირველი სტრატეგია. ეს არ არის გარემოსდაცვითი ან კლიმატის სტრატეგია. ეს არის ევროკავშირის ზრდის სტრატეგია, რაც გულისხმობს მომავალი ათწლეულების განვითარების ჩვენეულ მოდელს*
>
> ***ევროკავშირის წარმომადგენელობა საქართველოში***

„ევროპის მწვანე შეთანხმებაში“ კარგად ჩანს, რომ დაბალნახშირბადიანი განვითარების საკითხები პირდაპირ ეხება და გავლენას ახდენს ეკონომიკის ყველა ძირითად სექტორზე, იქნება ეს დასაქმება, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა თუ სხვა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ევროკავშირის ქვეყნებს, როგორც დანარჩენ მსოფლიოს, განსაკუთრებული დარტყმა მიაყენა კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, გაზრდილმა უმუშევრობამ, დაუცველობამ და სიღარიბემ. შესაბამისად, საჭირო გახდა პოსტპანდემიური ეკონომიკური კრიზისის დაძლევისთვის ეკონომიკური აღდგენის პოლიტიკის განხორციელება. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური მნიშვნელობა არ დაუკარგავს კლიმატის ცვლილების თემატიკას. პირიქით, ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გზად ევროკავშირი ე.წ. მწვანე აღდგენას (Green Recovery) მოიაზრებს. შესაბამისად, ევროკავშირის მოკლევადიანი კრიზისის დაძლევის გზები „ევროპის მწვანე შეთანხმებისეულ“ გრძელვადიან კლიმატნეიტრალურობის მიზნებთან მოდის შესაბამისობაში. ევროკავშირის „მწვანე აღდგენის“ პაკეტი მოიცავს 806.9 მილიარდი ევროს ინვესტიციას, რათა ევროპა გახდეს „უფრო მწვანე, უფრო ციფრული, და უფრო გამძლე“ (European Commission, n.d.-b).

ამასთანავე, ევროკავშირი კვლავ ცდილობს პოზიტიური ლიდერის როლის მორგებას. *„ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ,* – განაცხადა ევროკავშირის წარმომადგენელმა, – *რომ ჩვენი განვითარების მოდელის შექმნით, ევროკავშირის ძალასა და ზომას თუ გავითვალისწინებთ, რა თქმა უნდა, (...) მსგავს ცვლილებებს სხვა ქვეყნებშიც წავახალისებთ“* (ევროკავშირის წარმომადგენელობა საქართველოში).

კლიმატის დიპლომატია წამყვან ფლანგზე გადმოდის ევროკავშირის საგარეო ურთიერთობებში. ეს ეხება როგორც სამეზობლო პოლიტიკასა და თანამშრომლობას, ასევე საგარეო დახმარებას. კერძოდ, საქართველოსთვის განსაკუთრებით საგულისყუროა *„ევროკავშირის ეს ნომერ პირველი სტრატეგია“* და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილება. როგორც ევროკავშირის გუნდის წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, მწვანე საკითხები, როგორიცაა დაბალნახშირბადიანი განვითარება, ცირკულარული ეკონომიკა და მწვანე ზრდა, აღმოსავლეთ პარტიორობის ქვეყნებთან ურთიერთობაში მოწინავე ადგილს დაიკავებს. ასოცირების შეთანხმებით საქართველო ნელ-ნელა უახლოვდება ევროკავშირს. შესაბამისად, ევროკავშირის ახალი და მომავალი მწვანე კანონმდებლობა, სტანდარტები და წესრიგი მისთვისაც აქტუალური თემა ხდება. მართალია, „ევროპის მწვანე შეთანხმება“ საქართველოს ჯერჯერობით პირდაპირ არ ეხება, რადგან ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, მან წარმატებით შეასრულოს ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები. თუმცა საქართველო-ევროკავშირს შორის თანამშრომლობის დროს ეს დოკუმენტი ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი იქნება, აღნიშნა ევროკავშირის წარმომადგენელმა.

2.2. ევროპეიზაცია: პოლიტიკური პირობითობა და სოციალიზაცია

როდესაც ევროპეიზაციის პროცესზე ვსაუბრობთ, თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ტერმინი კვლევებში ყოველთვის ევროპასთან ინტეგრაციის სინონიმად არ არის გამოყენებული. იგი ხშირად აღწერს ევროკავშირის „საშინაო გავლენას“ (“domestic impact”) არა მხოლოდ მის წევრ, არამედ მის საზღვრებს გარეთ მდებარე ქვეყნებზეც (Sedelmeier, 2011, p. 5). ასევე, ევროკავშირის უნარს, გავლენა მოახდინოს წევრი და არაწევრი სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობის, პოლიტიკის პრიორიტეტებისა და ადმინისტრაციული სტრუქტურების განვითარებაზე. ტერმინი ევროპეიზაცია განიმარტება, როგორც „პროცესი, რომლის დროსაც სახელმწიფოები ამკვიდრებენ ევროკავშირის წესებს“ (Schimmelfennig & Sedelmeier, 2005, p. 7), რასაც ასევე თან სდევს მათი დემოკრატიული და საბაზრო-ეკონომიკური ტრანზიცია (Tsuladze et al., 2016). როდესაც საბაზრო-ეკონომიკურ ტრანზიციაზე ვსაუბრობთ, ეს შეიძლება იყო, მაგალითად, წარმოებაში ევროკავშირის სტანდარტების დანერგვა, რის შედეგადაც იმპორტიორ ქვეყნებს უწევთ შიდა სტანდარტების გაუმჯობესება და ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოება.

რადაელის კლასიფიკაცია (2003, p. 35) გამოყოფს ევროპეიზაციის სამ ძირითად სფეროს: (1) საშინაო პოლიტიკური სტრუქტურები, (2) საჯარო პოლიტიკა და (3) კოგნიტიური და ნორმატიული სტრუქტურები. ეს უკანასკნელი გულისხმობს კულტურული ფასეულობების, ღირებულებებისა და სოციალური ნორმების სისტემას, ასევე დისკურსებისა და ეროვნული იდენტობის ტრანსფორმაციის პროცესებს. ზოგიერთ კვლევაში (Ladrech, 2010, p. 24) ასევე გვხვდება ეროვნული პოლიტიკის (politics) კატეგორია, რაც პოლიტიკურ პარტიებსა და მათ ინტერესებს გულისხმობს. შესაბამისად, ევროპეიზაცია გავლენას ახდენს არა მხოლოდ შიდასახელმწიფო მმართვლობის სტრუქტურებზე, არამედ გარკვეულწილად ცვლის დომინანტურ ღირებულებებს, ნორმებსა და პოლიტიკურ დისკურსებს, როგორც წევრ და ასპირანტ, ასევე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმომწერ ქვეყნებსა და ევროპის სამართლისა და პოლიტიკის „იმპორტიორ“ მესამე სახელმწიფოებში.

ზოგადად, ცივი ომის შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული, დემოკრატიული მმართველობა და ადამიანის უფლებები იყო საერთაშორისო თანამეგობრობის და განსაკუთრებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრების ერთ-ერთი გაცხადებული მიზანი (Koch, 2015). ამ კონტექსტში, პოლიტიკური პირობითობა (conditionality) – ყველაზე ხშირად დახმარების ან დახმარების შეჩერების სახით – გახდა ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი განვითარებად და ხშირად დახმარებაზე დამოკიდებულ ქვეყნებში პოლიტიკური მმართველობის საკითხების განხილვისას (Crawford, 2001). ევროპეიზაციის შემთხვევაშიც, მთავარი თეორიული ჩარჩო, რომელიც განმარტავს, თუ როდის იწვევს ევროკავშირის პირობითობა ეროვნულ დონეზე ცვლილებებს, არის ევროპეიზაციის ე.წ. საგარეო წახალისების მოდელი (Schimmelfennig & Sedelmeier, 2004, 2005). პირობითობა შეიძლება იყოს პოზიტიური (ჯილდოები, წახალისება, შექება) ან

ნეგატიური (სანქციები, შეზღუდვები, კრიტიკა). ევროკავშირის პირობითობა გაფართოების ქვეყნებში რეფორმების განხორციელების ყველაზე ეფექტიან მექანიზმად არის აღიარებული (Börzel, 2015, p. 5).

საგარეო წახალისების მოდელის თანახმად, ევროკავშირი მართავს ევროპეიზაციის პროცესს სანქციების და ჯილდოების, იმავე „მათრახის და თაფლაკვერის" მეშვეობით, რომელიც სტრუქტურულად ცვლის კანდიდატ ქვეყნებში მთავრობების ხარჯსარგებლიანობის გამოთვლებს. ასევე, თუ რა პირობებშია მოსალოდნელი, შესაბამისმა გამოთვლებმა ამ მთავრობებს ევროკავშირის წესების მიღებისკენ უბიძგოს. ჯილდოები მერყეობს ფინანსური და ტექნიკური დახმარებიდან ევროკავშირის წევრობამდე (Schimmelfennig & Sedelmeier, 2004, 2005). პირობითობასთან ერთად, აღსანიშნავია – თვითპირობითობაც. ამ შემთხვევაში ქვეყნები ამბიციურ გეგმებს სახავენ და იმაზე მეტ ვალდებულებას იღებენ, ვიდრე ამას ევროკავშირი სთხოვს. ამ ტიპის პირობითობას ის ქვეყნები მიმართავენ, რომლებსაც სურთ ევროკავშირმა ისინი წევრობის კანდადიდატებად განიხილოს (Schimmelfennig, 2010; Tsuladze et al., 2021). ევროკავშირის პირობები მოიცავს როგორც პოლიტიკურ (როგორიცაა დემოკრატია და კანონის უზენაესობა), ასევე მარეგულირებელ პირობებს. სამიზნე სახელმწიფოების მთავრობებს თავისუფლად შეუძლიათ მიიღონ ან უარყონ ევროკავშირის პირობები. ისინი პირობებს ეთანხმებიან, თუ აღიქვამენ, რომ ჯილდოს სარგებელი უფრო მაღალია, ვიდრე შესაბამისობის ხარჯები. ხარჯსარგებლის შეფასება ექვემდებარება შიდა პოლიტიკას (Schimmelfennig & Sedelmeier, 2020).

აღწერილი ხარჯთსარგებლიანობის პროცესის გარდა, სტრატეგიული კონსტრუქტივისტული პერსპექტივის მიხედვით (Saurugger & Mérand, 2010), ახალი ნორმის მიღება არ ეყრდნობა ავტომატურ და პასიურ ინტერნალიზებას, არამედ სოციალურად კონსტრუირებულ (სოციალური დასწავლის გზით) სტრატეგიულ გაანგარიშებას, რომელიც გულისხმობს როგორც ლეგიტიმურობის საკითხებს (Juncos & Pomorska, 2006), ასევე იდენტობის და კულტურულ ფაქტორებს, მაგალითად, თუ რამდენად „ევროპულია"[4] ევროკავშირთან ინტეგრაციის მსურველი ქვეყანა, რამდენად იზიარებს პოლიტიკური კლასი და მოსახლეობა ევროკავშირის ნორმებსა და ღირებულებებს (Tsuladze et al., 2021). აღნიშნულ სოციალური დასწავლის პროცესს, სოციალიზაციის მექანიზმსაც უწოდებენ (Sedelmeier, 2011; Tsuladze et al., 2021, p. 8).

მოცემული კვლევის ფარგლებში განსაკუთრებით ყურადღება მიექცა სწორედ სოციალიზაციის საკითხს, თუ რამდენად წარმატებულია ქართული პოლიტიკური ელიტის სოციალიზაცია, როდესაც კლიმატის პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, და რამდენად იზიარებენ ქართველი პარლამენტარები იმ მწვანე ნორმებსა და ღირებულებებს, რომლებიც პრიორიტეტული და მეინსტრიმულია ევროკავშირისთვის.

[4] კლასიკურ კრიტერიუმებს რომ გავყვეთ, ევროკომისიის მიხედვით, „ევროპულობა" გეოგრაფიული, ისტორიული და კულტურულ-ეთნიკური ელემენტების ერთობაა.

2.3. „მწვანე“ ევროპეიზაციის მექანიზმები

კვლევის მიზნის შესაბამისი ერთ-ერთი ამოცანაა შეგროვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე „მწვანე“ ევროპეიზაციის[5] პროცესის გამოკვეთა, რაც გულისხმობს იმ ძირითადი მექანიზმს, ინსტრუმენტებსა და ბერკეტებს, რომელთაც საქართველოში ევროკავშირი კლიმატის პოლიტიკის სფეროში იყენებს. შესაბამისად, ამ ქვეთავში შეჯამებული ანალიზი ეყრდნობა იმ ინტერვიუებს, რომლებიც კვლევის პირველ ეტაპზე ჩავატარეთ ევროკავშირის წარმომადგენლებთან, სხვა დასავლელ პარტნიორებსა და ექსპერტებთან.

ევროკავშირის წარმომადგენლებსა და ექსპერტებთან ინტერვიუებში იკვეთება, რომ განსაკუთრებით „ევროპის მწვანე შეთანხმების“ შემდგომ პერიოდში, ევროპეიზაციის ერთ-ერთი მთავარი და პრიორიტეტული მიმართულება მეზობელი ქვეყნების „გამწვანება“ და დაბალნახშირბადიანი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა გახდა. როგორც ევროკავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, ევროკავშირი გეგმავს საკუთარი კანონმდებლობის მწვანე ტრანზიციის შესაბამისად განახლებასაც, რასაც გავლენა ექნება სამეზობლო ურთიერთობებზეც. განსაკუთრებით კი, ევროკავშირთან ასოცირებულ ქვეყნებზე, რომლებიც მას ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციით უახლოვდებიან, ამ დაახლოების პროცესში კი უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭება მწვანე საკითხებს.

როდესაც კონკრეტულად საქართველოში ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, იკვეთება პოლიტიკური პირობითობის და სოციალიზაციის შემდეგი მექანიზმები:

ფინანსებთან დაკავშირებული პირობითობა

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ საქართველოსთვის სულ უფრო მეტი მწვანე ფინანსები (გრანტები, სესხები) იქნება ხელმისაწვდომი, როგორც ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, ასევე, სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სექტორიდან წამოსული ინიციატივებისთვის (NDICI 2021-2027, რომელმაც ENI ჩაანაცვლა) (European Commission, 2021b). მწვანე ფინანსების მიღების წინაპირობა კი ისეთი პროექტების განხორციელება იქნება, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ხელს შეუწყობენ ემისიების შემცირებას ან/და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას, და ასევე თანხვედრაში იქნება ევროპის მწვანე შეთანხმების ძირითად მიმართულებებთან. მაგალითისთვის, ევროპის საინვესტიციო ბანკი პირდაპირ აცხადებს, რომ გახდა „კლიმატის ბანკი“ (European Investment Bank, 2020), რაც ასევე ცხადყოფს საკითხის პრიორიტეტულობას. ევროკავშირის წარმომადგენელი ინტერვიუს დროს აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე, ევროკავშირი ზრდის გარემოსა და კლიმატის საკითხებთან დაკავშირებული თემატიკის წილს საერთაშორისო დახმარების პორტფოლიოში, და აპირებს, რომ საერთაშორისო დახმარების 30% კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხებისთვის იქნეს გამოყოფილი (European Commission, 2021a), დანარჩენ 70%-შიც გათვალისწინებული იქნება ევროპის მწვანე შეთანხმების ძირითადი პრინციპები.

ინსტიტუციური/საკანონმდებლო ცვლილებების წახალისება

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების სექტორი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება საქართველოში და სამინისტროები და პოლიტიკური ინსტიტუტები ამ თემას სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ. ევროკავშირი გააძლიერებს საჯარო მოხელეების შესაძლებლობებს, მთავრობის ტექნიკურ დახმარებას, საკუთარი გამოცდილების და ექსპერტული ცოდნის გაზიარებით წაახალისებს კლიმატის პოლიტიკის დოკუმენტების წარმოებას. პირობითობა გამოყენებული იქნება საკანონმდებლო დონეზეც, რათა „ევროკავშირის ძირითადი დირექტივების გადმოტანასა ან საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში დაგეხმაროთ“, აღნიშნა ევროკავშირის წარმომადგენელმა. ეს ხელს შეუწყობს კანონმდებლობის შექმნას, რომელიც გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების მარეგულირებელ ბაზას ჩამოაყალიბებს.

რესპონდენტების აზრით, საქართველოში პროგრესი აღინიშნება: *„დეპუტატები* და *მთავრობის წარმომადგენლები იღებენ კანონმდებლობას, რომელიც დაკავშირებულია გარემოსდაცვით საკითხებსა* და *კლიმატთან, რადგან ეს ყველაფერი ასოცირების ხელშეკრულების ნაწილია“*, ამბობს ევროკავშირის წარმომადგენელი. მაგალითისთვის, ბოლო ორ წელიწადში მიღებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონი, როგორიცაა „ტყის კოდექსი“ და „კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ“, ასე რომ, *„საქმე დაძრულია“*. ამ წინადადებიდანაც ჩანს, რომ ბოლო პერიოდში მიღებული ძირითადად ახალი კანონები, რომლებიც დადებითად მოქმედებენ ემისიების შემცირებაზე, უმეტესად ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში იქნა მიღებული და ამ ნაბიჯის გადადგმის მთავარი მოტივაცია მაინც ის პირობითობაა, რომელიც ევროკავშირთან ინტეგრაციას უკავშირდება, ასოცირების ხელშეკრულების ნაწილია და არა, მაგალითად, საქართველოს პოლიტიკური კლასის მიერ ინიცირებული ცვლილებები.

ევროკავშირის წარმომადგენლის პასუხი საქართველოს „ევროპის მწვანე შეთანხმების“ პრინციპების გაზიარების მზადყოფნის (readiness) საკითხზე, არაერთმნიშვნელოვანი იყო. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ უმნიშვნელოვანესია საქართველომ ჯერ ასოცირების ხელშეკრულებით უკვე აღებული ვალდებულებები შეასრულოს, რომელშიც კლიმატის პოლიტიკასთან დაკავშირებული ბევრი დირექტივაა ჩადებული, ხოლო „ევროპის მწვანე შეთანხმება“, ამ ეტაპზე, ქვეყნისთვის შეიძლება იყოს *„ინსპირაციის“* წყარო.

სოციალიზაცია (მწვანე ნორმების ლეგიტიმაცია, მწვანე ტრანზიციის ღირებულებების მიღება-გათავისება)

რაც შეეხება კვლევის ერთ-ერთ ძირითად ფოკუსს, პოლიტიკური კლასის სოციალიზაციას, რომელიც კლიმატის პოლიტიკის იმ ძირეული ხედვებისა და დისკურსების გაზიარებას გულისხმობს, რაც ევროკავშირის პოლიტიკოსებს დღესდღეობით ამოძრავებთ, ამ მიმართულებით ყველაზე მეტი პრობლემა იკვეთება. ევროკავშირის მხარე როგორც

პოლიტიკური კლასის, ასევე მოსახლეობის ცნობიერებაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ კლიმატის პოლიტიკა დღეს ნამდვილად არ არის პოლიტიკური თუ საზოგადო განხილვების თემა.

უკანასკნელ კვლევებში გამოკვეთილია, რომ მოსახლეობა ვერ ხედავს საქართველოს და მისი პოლიტიკური კლასის როლს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში (დურგლიშვილი & კეჭაყმაძე, 2020). პირიქით, საზოგადოებაში არსებობს აღქმა, რომ გარემოსდაცვითი და კლიმატის პოლიტიკის გატარება დაკავშირებული იქნება მაღალ ხარჯებთან, რაც, ევროპელი რესპონდენტის აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება:

> *ეს შეიძლება იყოს დიდი სარგებელი ბიზნესისათვის, მაგალითად, ენერგოეფექტურობა, იარსებებს გარკვეული ხარჯები გარდამავალ პერიოდში, მაგრამ ეს მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაში, გრძელვადიან პერსპექტივაში კი მოგებიანი იქნება.*

ინტერვიუს დროს მრავალჯერ აღინიშნა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ამომრჩევლების ცნობიერების ამაღლებას. მაშინ, როდესაც მოსახლეობას ბევრი სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა აწუხებს, საზოგადოება და პოლიტიკოსები მიდრეკილნი არიან, დაიჯერონ, რომ კლიმატის ცვლილება არ შეიძლება იყოს პრიორიტეტი. თუმცა, კლიმატის პოლიტიკაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი *„საბაზისო“* მოთხოვნაა, აღნიშნა ევროკავშირის წარმომადგენელმა:

> *ჩვენ ვიცით, რომ თუ არ იზრუნებ იმაზე, რაც შენ ირგვლივაა, ის გაანადგურებს, დაანგრევს საქართველოს ტურისტულ მიმზიდველობას, წარმოებას (...) თუ მეტი და ხანგრძლივი გვალვები იქნება, ეს გაანადგურებს სოფლის მეურნეობას, რაც დააზარალებს ათასობით ადამიანს (...) თუ არ იზრუნებთ ჰაერის ხარისხზე (...), გაანადგურებთ თქვენი შვილების ჯანმრთელობას და ა.შ.*

რესპონდენტის აზრით, გარდამტეხი იქნება, თუ საქართველო კარგად გაიაზრებს, ერთი მხრივ, იმ პირდაპირ რისკებს, რომლებიც კლიმატის სწრაფ ცვლილებასთანაა დაკავშირებული და, მეორე მხრივ, საკუთარ წილ პასუხისმგებლობას. რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ პატარა ზომისაა, საქართველოსაც ქვეყნის სიდიდისა და მოსახლეობის თანაფარდობით, იგივე წვლილი მოეთხოვება და ისეთივე პასუხისმგებლობა აკისრია, როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანას. ამიტომ, *„თქვენც უნდა აიღოთ პასუხისმგებლობა“*, ამბობს რესპონდენტი. იმისათვის, რომ პოლიტიკოსები კლიმატის ცვლილების საკითხებით დაინტერესდნენ, ევროკავშირის წარმომადგენლის აზრით, საჭიროა, მოთხოვნა ხალხიდან წამოვიდეს. რესპონდენტი ფიქრობს, რომ *„აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს კომუნიკაციას, ხალხის ცნობიერების ამაღლებასა და მოსახლეობის ქცევის ცვლილებას“*. შესაბამისად, თუ მოსახლეობა ამ საკითხებზე ინფორმირებული და მომთხოვნი იქნება, რესპონდენტის აზრით, შედეგად, შესაბამისი თემებით პოლიტიკოსებიც დაინტერესდებიან.

2.4. ევროპის მწვანე შეთანხმების შემდგომი მთავარი გზავნილები

სამაგიდო კვლევის და ინტერვიუების ანალიზის შედეგად იკვეთება **რვა ძირითადი პრიორიტეტული საკითხი** და გზავნილი, რომლებიც დღეს ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. მთავარი დისკურსები თავიდანვე შეჯამდა კვლევის ველის მეორე ნაწილში გამოსაყენებლად, რომლის დროსაც უკვე ქართველ პოლიტიკოსებმა გააკეთეს კომენტარი ევროკავშირისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე.

ველის პირველი ნაწილის დროს გამოკვეთილ ძირითად საკითხებს შორისაა:

1 **მნიშვნელოვნება** – ევროკავშირის წამომადგენლები „ევროპის მწვანე შეთანხმებას“, რომელიც ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკის მთავარი დოკუმენტია, ასახელებენ ევროკავშირის ნომერ პირველ სტრატეგიად და ევროკავშირისეული განვითარების მოდელის მთავარ განმსაზღვრელად მომავალ ათწლეულებში.

2 **პოზიტიური ლიდერი (მისაბაძი მაგალითი)** – დისკურსი, რომ ევროკავშირი (და, შესაბამისად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები) არის მსოფლიო ლიდერი კლიმატის წინააღმდეგ ბრძოლაში. ევროპა კი წარმოდგენილია მსოფლიოსთვის მისაბაძ მაგალითად, რომელიც გეგმავს გახდეს პირველი კლიმატნეიტრალური კონტინენტი. ევროკავშირი საკუთარი სიძლიერისა და სიდიდის გათვალისწინებით, თავდაჯერებულია, რომ შესწევს ძალა „მწვანე“ განვითარების საკუთარი მოდელის შექმნისა და მსგავსი ცვლილებების სხვა ქვეყნებშიც სტიმულირების.

3

მულტილატერალიზმი – სახელმწიფოების კოორდინირებული ურთიერთობა მწვანე პრინციპების შესაბამისად, მნიშვნელოვანი ხედვაა ევროკავშირისთვის. საერთაშორისო დონეზე ევროკავშირი კვლავ მულტილატერალიზმის პრინციპით ხელმძღვანელობს და მიიჩნევს, რომ კლიმატის პოლიტიკის წარმატებისთვის, მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით სვლა არა მხოლოდ ევროკავშირმა, არამედ მთელმა მსოფლიომ დაიწყოს.

4

მულტისექტორულობა – კლიმატის პოლიტიკა შეეხება და შეცვლის ყველა სექტორს, განსაკუთრებით ეკონომიკის წამყვან სექტორებს, როგორიცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მშენებლობის სექტორი, სოფლის მეურნეობა, დასაქმება და სხვა.

5

მწვანე და მდგრადი ზრდა – გახდა ევროკავშირის ნომერ პირველი პრიორიტეტი, მწვანე ტრანზიციის პერიოდში ევროკავშირი მიზნად ისახავს, ემისიების შემცირების პარალელურად, პრიორიტეტული გახადოს ტრანსფორმაციის პროცესში მწვანე ზრდის, მწვანე სამუშაო ადგილებისა და სოციალური კეთილდღეობის საკითხები.

6

სუფთა ტექნოლოგიები და საბაზრო მექანიზმები – სუფთა ტექნოლოგიებსა და არსებულ კაპიტალისტურ საბაზრო მექანიზმებზე (decoupling, ნახშირბადით ვაჭობის მექანიზმების დანერგვა) დაფუძნებული პრობლემის გადაჭრის ხედვა.

7

შესაძლებლობები და სარგებელი – ამბიციური კლიმატის პოლიტიკის კვალდაკვალ, ევროკავშირის წარმომადგენლები განსაკუთრებით მწვანე ტრანზიციის შესაძლებლობებსა და ბენეფიტებზე საუბრობენ.

8

მწვანე აღდგენა (green recovery) – პოსტპანდემიური კრიზისის დაძლევა ე.წ. მწვანე აღდგენის (green recovery) გზით და კლიმატის პოლიტიკის გაძლიერებით.

თავი 3: კლიმატის ცვლილების პოლიტიკა და საქართველო

3

3.1. პოლიტიკოსების როლი კლიმატის პოლიტიკაში

პარიზის შეთანხმების ხელმომწერი სახელმწიფოები პასუხისმგებელნი არიან შეიმუშაონ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტები, რათა მიიღწეს მსოფლიო დონეზე განსაზღვრული ტემპერატურული ლიმიტი. ამიტომ, პარიზის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახელმწიფოს კლიმატის პოლიტიკას ეროვნულ დონეზე, რაც გამოიხატება პარიზის შეთანხმებასთან თავსებადი სახელმწიფო სტრატეგიების შემუშავებასა და სექტორული პოლიტიკის გატარებაში ენერგეტიკის, ტრანსპორტის, შენობების, ნარჩენების და სხვა სექტორებში. ამ პოლიტიკის და შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება კი სწორედ პარლამენტისა და პოლიტიკოსების პრეროგატივაა. შესაბამისად, ინდივიდუალური პოლიტიკოსების მოტივაცია და შეხედულებები კლიმატის პოლიტიკაზე შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს სახელმწიფო და მსოფლიო კლიმატის მმართველობის წარმართვაში (Willis, 2020).

2020 წელს კავკასიის გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) მიერ ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დაკვეთით ჩატარდა საქართველოს მოსახლეობის პირველი ფართომასშტაბიანი რეპრეზენტატიული გამოკითხვა კლიმატის ცვლილების შესახებ. კვლევის მიზანი იყო კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ცოდნისა და ქცევის გამოკვლევა და სხვა თემებთან ერთად მოიცავდა კითხვებს საკითხზე *„დამოკიდებულება და პასუხისმგებლობის მექანიზმები“*. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კლიმატის ცვლილება მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა გამოკითხულთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ *„კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემების მართვას გარემოსდაცვითი და საერთაშორისო ორგანიზაციები შეძლებენ“* (დურგლიშვილი & კეჭაყმაძე, 2020, p. 65). ამავე დროს, გამოკითხულთა ძალიან მცირე ნაწილი (9.8%) მიიჩნევს, რომ ეროვნული/ცენტრალური მთავრობა შეძლებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემების მართვას. კიდევ უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს ადგილობრივ სახელისუფლებო ორგანოებს. გარკვეულწილად, ეს შედეგები შეიძლება მიგვანიშნებდეს, რომ საქართველოს მოსახლეობა ნაკლებად ხედავს ეროვნული ინსტიტუტებისა და პოლიტიკოსების, ერთი მხრივ, როლს, ხოლო მეორე მხრივ, პასუხისმგებლობას კლიმატის მმართველობაში. ეს შეიძლება იმასაც ნიშნავდეს, რომ საქართველოში კლიმატის ცვლილებას ნაკლებად აღიქვამენ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხად, რომლის მოგვარებაზეც არჩეულმა პოლიტიკოსებმა უნდა იზრუნონ. შედეგად, კლიმატის პოლიტიკის საკითხები პარტიების პროგრამებშიც ვერ ხვდება.

პოლიტიკური პარტიების პრიორიტეტულ საკითხებში ვერასოდეს ვერ ხვდება ის საკითხი, რომელიც არ არის პოპულარული მოსახლეობაში. ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვაა არჩევნები, იმას ყიდი, რაც მოთხოვნადია.

ერთ-ერთი ახლად შექმნილი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი

მსოფლიოში არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო ინსტიტუტები მართლაც ძალიან გავლენიანები არიან კლიმატის მმართველობის სფეროში. ბევრი მათგანი საკმაოდ მაღალი პროფილითაც სარგებლობს. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ ჩაანაცვლებენ ეროვნულ ინსტიტუტებსა და პარლამენტს, რომლებიც სახელმწიფო კლიმატის პოლიტიკას ქმნიან. კლიმატის ცვლილების მმართველობაში ეროვნულ დონეზე სახელმწიფო და არასამთავრობო ინსტიტუტების როლი ძალიან დიდია. ინსტიტუტები, როგორც ასეთი, არა მხოლოდ პოლიტიკური და ადმინისტრაციული ერთეულებია, არამედ ისინი განსაზღვრავენ კოლექტიური მოქმედების წესებს, ნორმებსა და პრაქტიკას (Coaffee and Healey 2003, cited in Evans, 2012, p. 46).

როგორც შესავალში აღინიშნა, კლიმატის ცვლილება გლობალური პრობლემაა, რომლის გადაჭრასა და მართვაში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეა ჩართული. როდესაც ეკონომიკის დეკარბონიზაციაზე ვსაუბრობთ, ამ პროცესში დაინტერესებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდნენ სხვადასხვა სამინისტროს საჯარო მოხელეები, პარლამენტარები, ბიზნესსექტორი, სამოქალაქო საზოგადოება, მედია და სხვა. რაც შეეხება პოლიტიკოსებს, მათ კლიმატის ცვლილების პრობლემის გადაჭრაში მნიშვნელოვანი როლი აქვთ და დიდი პასუხისმგებლობაც. ეს იქიდან გამომდინარე, რომ პარლამენტის, მთავრობის ზედამხედველი და კონტროლის გამწევი ორგანოს, მოქმედება დამოკიდებულია პოლიტიკოსებზე (სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად). შესაბამისად, პოლიტიკოსების მიერ საკითხის აღქმა, არტიკულაცია, ინტერესები და საკითხის გადაჭრის ხედვები დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოების პოლიტიკის ჩამოყალიბებაში (Willis, 2018).

პოლიტიკურ დისკურსებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ როგორც ევროპეიზაციის, ასევე მის კვალდაკვალ მწვანე ტრანზიციის პროცესზე. ეს გავლენა ასევე შეიძლება გამოვლინდეს, მაგალითად, ახალი ინსტიტუციური მიდგომების, წესების, ღირებულებების, პრაქტიკის და კულტურული ნორმების ფორმირებითა და გადაფასებით (Schmidt & Radaelli, 2004, p. 206), რითაც გარკვეული პრაქტიკების ლეგიტიმაცია ან დელეგიტიმაცია ხდება (Radaelli, 2003, p. 36). შესაბამისად, როგორც ევროპეიზაციის შემთხვევაში, ასევე კლიმატის ცვლილების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტია მისი დისკურსული გამოყენება (Jacquot & Woll, 2003, p. 7), ანუ რიტორიკა და ნარატივების წარმოება პროცესზე ნეგატიური ან პოზიტიური ასოციაციის გამოწვევის მიზნით (Tsuladze et al., 2016).

დისკურსი აქ განიმარტება, როგორც იდეების, ცნებებისა და კატეგორიზაციის სპეციფიკური ანსამბლი, რომელიც წარმოიქმნება, რეპროდუცირდება და გარდაიქმნება კონკრეტულ პრაქტიკაში და რომლის მეშვეობითაც ახალი მნიშვნელობები ენიჭება ფიზიკურ და სოციალურ რეალობას (Hajer, 1995, p. 44). შედეგად, შესაძლოა წარმოიქმნას ახალი ნარატივ-ამბები (storylines), რომლებიც გავლენას ახდენს გარკვეულ პრაქტიკებზე (Hajer, 1995, pp. 64–65). ჰაიერი (1995) აღნიშნავს, რომ ეს ნარატივები შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც საშუალება (devices – მოწყობილობა), რომლებითაც პოზიციონირებულნი არიან მოქმედი პირები, და რომელთა მეშვეობითაც ისინი კონკრეტულ მოვლენებსა და აქტორებს „დადანაშაულების“ (blame), „პასუხისმგებლობის” (responsibility), „გადაუდებლობის“ (urgency) და „პასუხისმგებლიანი ქცევის შესახებ“ (responsible behaviour) იდეებს მიაწერენ. ზოგიერთი მკვლევარი ასევე აღნიშნავს, რომ ახალი პოლიტიკური დისკურსის გაჩენამ შეიძლება რეალურად შეცვალოს პრობლემებისა და შესაძლებლობების ინდივიდუალური აღქმა და ამით შექმნას სივრცე ახალი, მოულოდნელი პოლიტიკური კოალიციების ფორმირებისთვის (Hajer, 1995, p. 59).

მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში (განსაკუთრებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში) კლიმატის ცვლილების გამო შეშფოთებული ამომრჩეველი უპირატესობას ანიჭებს პარტიებს, რომლებიც მათ ამბიციური კლიმატის პოლიტიკის გატარებას ჰპირდებიან. შედეგად, მწვანე პარტიებს დღეს უფრო მეტი მხარდაჭერა აქვთ, ვიდრე ოდესმე ჰქონიათ და, ამასთანავე, მწვანე პოლიტიკის საკითხები „მეინსტრიმი“ გახდა სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე პარტიებისთვის. ზუსტად ამ ტენდენციის თვალსაჩინო მაგალითი იყო გლაზგოს სამიტი, სადაც ეკონომიკურად მემარცხენე, მემარჯვენე და ცენტრისტი, სოციო-კულტურულად კონსერვატორი თუ ლიბერალი პარტიები და პოლიტიკური ლიდერები იღებენ მწვანე პოლიტიკას, რომელსაც ბევრი ადრე უმნიშვნელოდ თვლიდა ან სულაც უგულებელყოფდა. *„მწვანეთა პარტიების წარმატება დასავლეთ ევროპის საპარლამენტო არჩევნებში საშუალოდ ყველაზე მაღალია, რაც ოდესმე ყოფილა“*, ამბობს ზაკ გრანტი, ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარი (Clark, 2021). ეს რიცხვი შეიძლება კიდევ გაიზარდოს, მაშინაც კი, თუ „მეინსტრიმ“-პარტიები გააგრძელებენ ტრადიციულად მწვანე პარტიების პოლიტიკისა და თემების „მოპარვას“.

3.2. პარტიების იდეოლოგიური დაყოფა საქართველოში

სამაგიდო კვლევის და ინტერვიუების ანალიზის შედეგად იკვეთება **რვა ძირითადი პრიორიტეტული საკითხი** და გზავნილი, რომლებიც დღეს ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. მთავარი დისკურსები თავიდანვე შეჯამდა კვლევის ველის მეორე ნაწილში გამოსაყენებლად, რომლის დროსაც უკვე ქართველ პოლიტიკოსებმა გააკეთეს კომენტარი ევროკავშირისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე.

ველის პირველი ნაწილის დროს გამოკვეთილ ძირითად საკითხებს შორისაა:

მე ვარ ქართველი, მაშასადამე – მე ვარ ევროპელი

საქართველოს მწვანეთა პარტიის დამფუძნებელი, ზურაბ ჟვანია[6]

2018 წლის ბოლოს, საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, საქართველო მმართველობის ახალ სისტემაზე გადავიდა და საპარლამენტო რესპუბლიკად ჩამოყალიბდა. ამ ისტორიულმა ცვლილებამ საგრძნობლად გაზარდა საქართველოს პარლამენტის როლი, მისი როგორც საკანონმდებლო და წარმომადგენლობითი, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების საზედამხედველო, ფუნქცია. პარლამენტის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საპარლამენტო პროცესებში საჯარო ჩართულობის გაძლიერება წარმომადგენლობითი დემოკრატიისა და ღია მმართველობის პრინციპების ხელშეწყობის გზით. ამ ცვლილებებიდან გამომდინარე, მწვანე-დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, გადამწყვეტი როლი ექნება საპარლამენტო პარტიების და ამ პარტიების ლიდერი დეპუტატების გრძელვადიან ხედვებს.

CRRC-ის კვლევის მიხედვით (2020 წლის სექტემბერი), საქართველოს მოსახლეობის 63% ეთანხმება იმას, რომ თანამედროვე საქართველოს პოლიტიკის ისტორია ძირითადად პიროვნებასა და არა ინსტიტუტზე ორიენტირებული პროცესია (CRRC, n.d.). მართლაც, გამსახურდიას „დაცემის“ შემდეგ, დამოუკიდებელმა საქართველომ გაიარა სამი რეჟიმი, რომლებიც დაკავშირებულია ძლიერ და ქარიზმატულ პირებთან: შევარდნაძე, სააკაშვილი და ივანიშვილი. შესაბამისად, ქართველი ამომრჩეველი ძირითადად ამ „გმირების“ და „ანტიგმირების“ გარშემო ერთიანდება. შედეგად, ხშირად პარტიის ლიდერებთან ერთად ქრებიან და ძალას კარგავენ მათი დაფუძნებული პარტიებიც.

თუკი დღევანდელი პარტიების ლანდშაფტს გადავავლებთ თვალს, „საარჩევნო კომპასი საქართველოზე“ (Krouwel et al., 2021), partiebi.ge (EECMD, n.d.) და სხვა კვლევების (Kakhishvili et al., 2021) მიხედვით, ქართული პარტიები ძირითადად განაწილებულია ორგანზომილებიანი იდეოლოგიური სიბრტყის გასწვრივ დიაგონალურად ქვედა მარცხნიდან ზედა მარჯვენა კუთხემდე. გამოკვეთილად ლიბერალი მემარცხენეები (მაგ. თავისუფალი დემოკრატები) და კონსერვატორი მემარჯვენეები (თავისუფალი საქართველო) პარლამენტში საერთოდ არ არიან წარმოდგენილი.

[6] ევროსაბჭოში წარმოთქმული ფრაზა, 1999 წელს ზურაბ ჟვანია უკვე საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრი და პარლამენტის თავმჯდომარე იყო.

იკვეთება სამი ეკონომიკური იდეოლოგია:

მემარცხენე

სოციალურ თანასწორობაზე ფოკუსირებული

ცენტრისტული

დაბალანსებული, პრაგმატული მიდგომები

მემარჯვენე

ლიბერალური ან ლიბერტარიანური, ფოკუსირებულია სწრაფ ეკონომიკურ ზრდაზე, სახელმწიფოს ნაკლებ ჩარევაზე, შესაბამისად, დერეგულაციაზე

რაც შეეხება სოციო-კულტურულ ასპექტებს, აქ წამოდგენილია ორი ძირითადი მიმართულება:

სოციო-კულტურულად კონსერვატორი

სოციო-კულტურულად ლიბერალი

ამ პრინციპით მე-10 მოწვევის პარლამენტში (საქართველოს საპარლამენტო არჩევნები 2020) შესული პარტიები შეიძლება დაიყოს ოთხ იდეოლოგიურ ბლოკად:

მემარცხენე კონსერვატორები

პატრიოტთა ალიანსი – 3.14% (უარი განაცხადეს მანდატებზე, შედეგად, დაფუძნდა ახალი პარტია ევროპელი სოციალისტები (4 მანდატი))

მემარცხენე ცენტრისტები

ქართული ოცნება – 48.22% (84 მანდატი), ლეიბორისტები (1 მანდატი)

ცენტრისტები

ლელო – 3.15% (4 მანდატი), სტრატეგია აღმაშენებელი – 3.15% (4 მანდატი), „საქართველოსთვის“ (6 მანდატი (გამოეყო ქართულ ოცნებას))

მემარჯვენე ლიბერალები

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 27.18% (36 მანდატი), გირჩი – 2.89% (4 მანდატი), ევროპული საქართველო – 3.79% (5 მანდატი), მოქალაქეები – 1.33 % (2 მანდატი))

აღსანიშნავია, რომ ეს დაყოფა ვერ იქნება მკაცრი, რადგანაც ქართულ პოლიტიკაში ხშირია სხვადასხვა იდეოლოგიური ბლოკის მიდგომების აღრევა. როგორც ზემოთაც ვახსენეთ, ამის მიზეზი ისაა, რომ ამომრჩეველი ხშირად ქარიზმატული ლიდერების გარშემო ერთიანდება და, შესაბამისად, მოსახლეობის დაბალი პოლიტიკური კულტურის გამო, პოლიტიკური სუბიექტები ძირითადად ორიენტირებული არიან უფრო პოპულისტურ დაპირებებსა და გადაწყვეტილებებზე (მელაძე, 2016).

სხვადასხვა იდეოლოგიური ბლოკის მიდგომების აღრევის მიუხედავად, მაინც შეიძლება ითქვას, რომ მმართველი პარტია (ქართული ოცნება) და ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტია (ნაციონალური მოძრაობა) ამომრჩევლებს განსხვავებულ პოლიტიკას სთავაზობენ. მარცხნივ განზომილებაში, ქართული ოცნება მხარს უჭერს კეთილდღეობის სახელმწიფოს (welfare state) გაფართოებას, ხოლო ნაციონალური მოძრაობა – კეთილღეობის სახელმწიფოს მიდგომების შემცირების პოლიტიკას (welfare retrenchment). ქართული ოცენება მხარს უჭერს გარემოს დაცვას ახალი რეგულაციების შემოღების მხარდაჭერით, მაგ. გადასახადების დაწესებით, ხოლო ნაციონალური მოძრაობისთვის უპირატესია ლიბერტარიანული მიდგომა (Kakhishvili et al., 2021).

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში მწვანე პარტიებს სულ უფრო მეტი ამომრჩეველი ირჩევს, საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტში არ არის წარმოდგენილი მწვანეთა პარტია. მწვანეთა მოძრაობას და მწვანეთა პარტიას 1989-2003 წლებში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასა და იმ პერიოდის ქართული პოლიტიკის დღის წესრიგის ფორმირებაში. მწვანეთა მოძრაობასა და მწვანეთა პოლიტიკურ გაერთიანებას ჰქონდა იდეოლოგიური ბაზისიც, რომელზეც *„გავლენა მოახდინა ევროპული ქვეყნების მწვანეთა პარტიების იდეოლოგიამ, ქართველ მწვანეთა თანამშრომლობამ ევროპელ პარტნიორებთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მწვანე იდეოლოგიის განვითარების თავისებურებებმა“* (Pataraia et al., 2013, p. 11). თუმცა იყო განსხვავებებიც. მაგალითად, ქართველი მწვანეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ეროვნულ საკითხს, რაც ევროპული მწვანეთა მოძრაობებისთვის საკმაოდ უცხო იყო (Pataraia et al., 2013). მიუხედავად ამისა, 1990-იანი წლების ბოლოს მწვანეთა პარტია დასუსტდა და საზოგადოებრივი მხარდაჭერაც მოძრაობის მიმართ შენელდა.

3.3. ქართველი პოლიტიკოსები კლიმატის პოლიტიკაზე

როგორც თავიდანვე აღინიშნა, საქართველოში პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. თუმცა, მაინც იკვეთება პარტიებს შორის იდეოლოგიური განსხვავებები, როდესაც ისინი ევროკავშირის კლიმატის ცვლილების პოლიტიკასთან დაკავშირებულ ხედვებზე საუბრობენ.

კვლევის ამ ნაწილში წარმოდგენილია ინტერვიუების ანალიზის შედეგები, რომლებიც სხვადასხვა პარტიის ლიდერებთან ჩატარდა (პარტიების თავმჯდომარეებთან, საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეებთან, პოლიტსაბჭოს წევრებსა და 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მერობის კანდიდატებთან). თითოეული ქვეთავი ეხება იმ საკითხს თუ ხედვას, რომელიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ევროკავშირის კლიმატის დიპლომატიისა და „მწვანე" ევროპეიზაციის პროცესში. ამ თავის მიზანია, ერთი მხრივ, ქართველი პოლიტიკოსების კომენტარების ანალიზი იმ ხედვებზე, რაც დღეს ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილია და, მეორე მხრივ, ძირითადი განსხვავებებისა და მსგავსებების გამოკვეთა პოლიტიკოსების შეხედულებებსა და მოსაზრებებს შორის. ქართველ პოლიტიკოსებთან ინტერვიუები ჩავატარეთ და გავაანალიზეთ იმ ძირითადი პოლიტიკური ხედვების გათვალისწინებით, რომლებიც ევროკავშირის წარმომადგენლებსა და ექსპერტებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, შესაბამისად, ქართული მხარის მოსაზრებები დავაჯგუფეთ შემდეგი თემების გარშემო: კლიმატის პოლიტიკის თემის აქტუალურობა და მნიშვნელოვნება, პოზიტიური ლიდერი (მისაბაძი მაგალითი), მულტილატერალიზმი, მულტისექტორულობა, მწვანე და მდგრადი ზრდა, სუფთა ტექნოლოგიებსა და საბაზრო მექანიზმებზე დაფუძნებული პრობლემის გადაჭრის ხედვა, შესაძლებლობები მწვანე ტრანზიციის დროს, პოსტ-პანდემიური კრიზისის დაძლევა და კლიმატის პოლიტიკა.

კლიმატის პოლიტიკის მნიშვნელოვნება

კლიმატის ცვლილება მაღალი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი, ევროკავშირის ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კლიმატის თემატიკა არასოდეს ხვდება პოლიტიკურ დღის წესრიგში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველი პოლიტიკოსები სრულიად გულგრილნი არიან კლიმატის ცვლილების, როგორც მსოფლიო გამოწვევის, მიმართ. ჩვენ მიერ გამოკითხული არცერთი პოლიტიკოსი არაა ე.წ. კლიმატის უარმყოფელი (ინგ. climate denier), რაც იმას ნიშნავს, რომ არცერთი მათგანი არ უარყოფს, რომ კლიმატის ცვლილება დასტურდება მეცნიერული ფაქტებით და გამოწვეულია ადამიანის საქმიანობით. თუმცა, საკითხის მნიშვნელობასა და პრიორიტეტულობაზე (სხვა სახელმწიფოებრივ გამოწვევებთან მიმართებით) შეხედულებები განსხვავდება პოლიტიკურ პარტიებს შორის.

იდეოლოგიურად მემარცხენე-ცენტრისტული შეხედულებების მქონე პარტიები მიიჩნევენ, რომ კლიმატის პოლიტიკა ზოგადად მნიშვნელოვანი საკითხია. ამის დამადასტურებლად ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერი ამბობს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მსოფლიოს მასშტაბით *„ძალიან სერიოზული პროგრამებიც ხორციელდება, ძალიან მნიშვნელოვანი რესურსები და ფინანსები იხარჯება, ძალიან სერიოზული კამპანიები ტარდება"*. მმართველი პარტიის წარმომადგენლების განაცხადი ახლოსაა ევროკავშირის წარმომადგენლების იმ შეფასებასთან, რომ საქართველოში კლიმატის პოლიტიკა უფრო და უფრო პრიორიტეტული ხდება. შესაბამისად, *„დარგობრივი სამინისტროები, დარგობრივი უწყებები, მათ შორის მუნიციპალიტეტები, უკვე*

იაზრებენ კლიმატის პოლიტიკის მნიშვნელობას“. ერთ-ერთმა რესპონდენტმა მმართველი პარტიიდან, ყურადღება გაამახვილა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ *„სახელმწიფო ზრუნავს ადაპტაციაზე, გარკვეული ქმედებები ამ მიმართულებით ნელ-ნელა უკვე პრაქტიკაშიც ხორციელდება“*.

გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკოსების ნარატივების წარმოებაში ერთ-ერთი უმთავრესი ორიენტირი ელექტორატის განწყობაა, რესპონდენტებმა საკმაოდ ვრცლად ისაუბრეს, თუ ვისი პასუხისმგებლობაა მოსახლეობისთვის კლიმატის პოლიტიკისა და მწვანე ზრდის პრიორიტეტულობის ჩვენება.

მემარცხენე-ცენტრისტული და ცენტრისტული პარტიების წარმომადგენლებს აერთიანებთ ხედვა, რომ სახელმწიფოსა და მთავრობას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია მოსახლეობისთვის კლიმატის პოლიტიკის მნიშვნელობის წარმოჩენასა და კომუნიკაციაში. ორივე მხარე მიიჩნევს, რომ საქართველოში ეს საკითხი მაშინ გახდება პრიორიტეტული, როდესაც პოლიტიკური კლასი აიღებს საკუთარ თავზე ინიციატივას. ახლად დაფუძნებული ცენტრისტული ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის აზრით, ეს აუცილებლობა იმითაა განპირობებული, რომ *„ელექტორატის და მოქალაქეების დიდი ნაწილის ყოველდღიურობა სავსეა ბევრად უფრო მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხებით“*, რასაც საბაზისო საჭიროებები შეიძლება ვუწოდოთ. რიგითი მოქალაქე შეიძლება ვერ ხედავდეს კლიმატის პოლიტიკის მნიშვნელობას, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც რესპონდენტი აღნიშნავს, სახელმწიფოებრივად შესაძლოა სწორია მწვანე ზრდისკენ მთავრობის მიერ თამამი ნაბიჯების გადადგმა.

> *თუ ჩვენმა ხელისუფლებამ კლიმატის ცვლილებასთან და მწვანე ზრდასთან დაკავშირებული ყველა თავისი გადაწყვეტილება მოარგო პოპულარულ ელექტორალურ ამოცანებს, მე ვფიქრობ, რომ ეს, არც სახელმწიფოსთვის და არც თითოეული მოქალაქისთვის, წარმატების მომტანი სტრატეგია არ იქნება*
>
> ***ცენტრისტი***

ამ შეფასებებში ევროკავშირის ხედვებისგან ძირითადი განსხვავება იკვეთება იმ ნაწილში, როდესაც ქართველი პოლიტიკოსები „საბაზისო საჭიროებებს“ და კლიმატის პოლიტიკის საკითხებს ერთმანეთს უპირისპირებენ, მაშინ როცა, ევროკავშირის წარმომადგენლების განცხადებით, მნიშვნელოვანია, საქართველოს მოსახლეობამაც და პოლიტიკურმა კლასმაც გაიაზრონ, რომ კლიმატის ცვლილება და კლიმატის პოლიტიკის საკითხები ზუსტადაც რომ თითოეული მოქალაქის საბაზისო საჭიროებებთან არის პირდაპირ კავშირში.

ოპოზიციონერი მემარჯვენე ლიბერალებიც გარკვეულწილად იზიარებენ მოსაზრებას, რომ საკითხი მხოლოდ მაშინ აღიქმება მნიშვნელოვნად, თუ პოლიტიკური კლასი აიღებს საკუთარ თავზე ინიციატივას. თუმცა, ისინი უშვებენ, რომ პოლიტიკური კლასი მხოლოდ მაშინ იღებს ინიციატივას, *„როდესაც მის მოსახლეობას აწუხებს რაღაც“*. შესაბამისად, ის საკითხი, რომელზეც მოსახლეობა ღელავს, კონკრეტული პარტიების ან ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკურ დღის წესრიგში ექცევა:

> *აქედან გამომდინარე, ქართული პოლიტიკური კლასი ამაზე არასოდეს არ აიღებს თავის საკუთარ ინიტიაციას, თუ ეს არ იქნება ევროკავშირში შესვლის რაღაცა ირიბი სტიმული*
>
> *მემარჯვენე ლიბერალი*

ცენტრისტული პარტიების ყველა პოლიტიკოსი კრიტიკულად მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მთავრობამ აწარმოოს აქტიური საინფორმაციო კამპანია, რათა მოსახლეობამ კარგად გააცნობიეროს საკითხის პრიორიტეტულობა და, ასევე, გარანტირებული იყოს პოლიტიკის წარმოების პროცესში მათი ჩართულობა. ეს კი იქიდან გამომდინარეობს, რომ *„მსოფლიოს კლიმატის ცვლილების გამოწვევა უფრო სწრაფი გამოწვევაა, ვიდრე ჩვენ ვიცვლებით“*, აღნიშნა ცენტრისტული ოპოზიციის წარმომადგენელმა, *„შესაბამისად, იკვეთება ხელისუფლების გადამწყვეტი როლი, რათა გადადგას სტრატეგიული ნაბიჯები და გამოიყენოს მის ხელთ არსებული ბერკეტები, რესურსი და შესაძლებლობები საკითხის პრიორიტეტულობაზე ცნობიერების ასამაღლებლად“*. ამ ხედვაში ჩანს, რომ კარგად გაცნობიერებულია კლიმატის ცვლილებისთვის ქმედების გადაუდებლობა (urgency) და ამ დროს ხელისუფლების პასუხისმგებლობა, შეამციროს ის რისკი, რომ აქტიური ინტერვენციის გარეშე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება შეიძლება ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდეს.

საინტერესოა, რომ პოლიტიკოსების განსაკუთრებულ როლსა და ინფორმირებულობის კამპანიის პრაგმატულ აუცილებლობაზე ასევე ვრცლად ისაუბრეს მხოლოდ ერთი ახლად დაფუძნებული ოპოზიციური მემარჯვენე-ლიბერალური შეხედულებების პარტიის წარმომადგენლებმაც:

პოლიტიკოსებს, როგორც კი აქვთ ინფორმირებული საზოგადოების მხარდაჭერა, (...) უბრალოდ ვეღარ მოხდება, რომ გვერდზე გადაიდოს ეგ საკითხი. აქ უკვე პარტიულ-საარჩევნო, რაა მომგებიანი და არაა მომგებიანი პარტიისთვის, მაგ გამოცდილებიდან და კუთხიდან ვლაპარაკობ.

მემარჯვენე ლიბერალი

დანარჩენი მემარჯვენე-ლიბერალური შეხედულებების პოლიტიკოსები სახელმწიფოს აქტიურ როლს კლიმატის პოლიტიკის მნიშვნელობის წარმოჩენასა და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმაში კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინიც მიიჩნევენ, რომ კლიმატის ცვლილების საფრთხე რეალურია. მათი აზრით, ამ საკითხს ხელისუფლება პრაგმატულად უნდა მიუდგეს – გააკეთოს ყველაფერი, რათა თავიდან ავიცილოთ კლიმატის ცვლილების ნეგატიური შედეგები, მაგრამ მთავარია, ეს არ მოხდეს ეკონომიკური განვითარების შეჩერებით, ზედმეტი რეგულაციების მიღებით, არ არის საჭირო *"doomsday scenario"*-ს ნარატივების გათვალისწინება, რომელთა მიხედვით, უკვე *„გუშინ უნდა დამთავრებულიყო და განადგურებულიყო ყველაფერი"*, ამბობს ერთ-ერთი მემარჯვენე-ლიბერალური პარტიის ლიდერი:

ხო, პრაგმატულად უნდა ვქნათ ყველაფერი, რაც შეგვიძლია, რომ ეს ზიანი შევამციროთ. თუნდაც ზუსტად არ იცოდე, ეს ზიანი როდის დააყენებს მძიმე შედეგებს. და, მეტიც, თუნდაც ზუსტად არ ვიცოდეთ, რამხელა ეფექტი აქვს ადამიანების ქმედებას კლიმატის ცვლილებაზე, პირდაპირი, ირიბი, (...). თუ აქვს ცუდი ეფექტი, მოდი ვქნათ ისე, რომ არ ჰქონდეს. სრულიად ლოგიკურია.

მემარჯვენე ლიბერალი

პოზიტიური ლიდერი

ევროპა საკუთარ თავს და, შესაბამისად, თავის წევრ სახელმწიფოებს ხედავს როგორც მსოფლიო მასშტაბის პოზიტიურ ლიდერებს და მისაბაძ მაგალითს კლიმატის ცვლილების პრობლემის გადაჭრის პროცესში. ეს ევროკავშირის პოლიტიკური განაცხადია. კვლევის ფარგლებში დავინტერესდით, აქვს თუ არა მსგავსი ამბიცია საქართველოს პოლიტიკურ კლასს, ამბიცია იმისა, რომ ეკონომიკის დეკარბონიზაციაზე საუბრისას, საქართველო გახდეს ლიდერი და მისაბაძი მაგალითი.

საქართველოს, როგორც პოტენციური მსოფლიო თუ რეგიონული ლიდერის როლს მწვანე პოლიტიკის წარმართვაში თანაბრად ხედავენ მემარცხენე-ცენტრისტული და ცენტრისტული პარტიები. გლობალურ კლიმატის ცვლილებაში საქართველოს წილი უმნიშვნელოა, ხოლო მისი ტერიტორია – მცირე, ამიტომ *„უფრო მარტივია, რომ განვახორციელოთ ამბიციური კლიმატის პოლიტიკა“*, აღნიშნავს მმართველი პარტიის წარმომადგენელი. ხოლო ოპოზიციურად განწყობილი ცენტრისტული პარტიის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ სწორედ ქვეყნის მცირე მასშტაბი გაამარტივებს ახალი ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვას და, შესაბამისად, ეკონომიკის გარდაქმნასაც. ამ მიმართულებით ქვეყნის ინოვაციურობა აღქმულია, როგორც საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვის წინაპირობა, რის შედეგადაც, საბოლოო ჯამში, საქართველო მსოფლიოსთვის საინტერესო მაგალითი გახდება. ახალგაზრდა მემარცხენე-ცენტრისტი პარტიის წარმომადგენელი ასევე ხაზს უსვამს საქართველოს, როგორც რეგიონული ლიდერის როლს:

> *საქართველოს ისტორიულადაც ჰქონდა ხოლმე [შესაძლებლობა], რეგიონის ლიდერი რომ ყოფილიყო. თუკი ამ კუთხით, მწვანე პოლიტიკის კუთხით, ჩვენ ვიქნებით ინოვატორები და პროგრესის მომხრე სახელმწიფო, ეს მიდგომა აუცილებლად გავრცელდება რეგიონზეც. მათ შორის, არა მხოლოდ კავკასიის რეგიონზე, არამედ აზიის მიმართულებითაც შეიძლება თავისუფლად განვითარდეს რაღაც მიდგომები, სადაც შედარებით უფრო ნაკლებად ექცევა ასეთ საკითხებს ყურადღება.*
>
> *მემარცხენე ცენტრისტი*

ამ მიდგომას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან და არარეალისტურად მიაჩნიათ ლიბერალ-მემარჯვენე პოლიტიკოსებს. ერთ-ერთი პარტიის ლიდერის აზრით, *„ზღაპარია, რომ ჩვენ შეგვიძლია, ორას ქვეყანაში ისეთი გამონაკლისი [ვიყოთ], რომ ჩვენს გამო რაღაცა მოხდეს“*. რაც შეეხება ქვეყნის ზომას და, შესაბამისად, კლიმატის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების სიმარტივეს, ლიბერალი-მემარჯვენე პოლიტიკოსები ნაკლებად ხედავენ ამ კავშირს: *„ის რომ პატარა ქვეყანა ვართ და ეგ იყოს [წარმატების] განმსაზღვრელი ცვლადი, არ მგონია რელევანტური“*.

მულტილატერალიზმი

ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც მულტილატერალიზმია ევროკავშირისთვის, საქართველოში შედარებით ნაკლები გამოხმაურება აქვს. მემარცხენე-ცენტრისტ პოლიტიკოსებთან საუბრისას ამ საკითხმა ნაკლებად გაიჟღერა. რესპონდენტმა ცენტრისტული პარტიიდან მოკლედ ისაუბრა საქართველოს ვალდებულებაზე საერთაშორისო საზოგადოების წინაშე. მან ახსენა, რომ *„ჩვენ ბევრი საერთაშორისო ხელშეკრულების თუ სხვა ფორმატის წევრი ვართ“*, რომლის მიზანი კლიმატის ცვლილების პრობლემაზე ზრუნვაა. შესაბამისად, საქართველოს *„რაღაც დეკლარირებული ‘ქომითმენთები’ გვაქვს და ამათ სჭირდებათ ასრულება“*. აქედან გამომდინარე, ამჟამინდელი მოცემულობით, პოლიტიკოსი მთავრობის ვალდებულებად მიიჩნევს, რომ საკუთარ მოსახლეობამდე ამ თემის მნიშვნელობა მიიტანოს, გამოიჩინოს პოლიტიკური ნება და უზრუნველყოს აღებული ვალდებულებების იმპლემენტაცია.

განსხვავებული შეხედულებაა მემარჯვენე ლიბერალებში. რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ საერთაშორისო საზოგადოებას კლიმატის ცვლილების მმართველობაში ჩართვის არაერთგვაროვანი ინტერესი აქვს და რომ მსოფლიოს დიდი ნაწილი არ ემორჩილება დასავლური (ევროპული) სამყაროს თამაშის წესებს – *„დასავლეთი ვერ თანხმდება ჩინეთთან და რუსეთთან და ვერ ახდენს მათზე ზეგავლენას, რომ ჩაერთონ მსოფლიოს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართულ ძალისხმევაში“*. იმის დაშვება, რომ ამ ქვეყნებთან თანამშრომლობა შესაძლებელია, „ძაან სახიფათო თავის მოტყუებად მიმაჩნია“, გვითხრა ერთ-ერთმა რესპონდენტმა. ასევე მიგვანიშნა, რომ უთანხმოების მაგალითი თვითონ ევროკავშირის შიგნითაც ჩანს, *„პოლონეთი არის წევრი, ქვანახშირზე დამოკიდებული ქვეყანა და ძალიან რთული იქნება პოლონეთის იძულება, ჩაერთოს ევროკავშირის კლიმატის მმართველობაში“*. აქედან გამომდინარე, მათი არგუმენტია, რომ არაა მიზანშეწონილი, საქართველომ, ქვეყნის ზომისა და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ამ თემის პრიორიტეტიზაცია მოახდინოს და ჩაერთოს საერთო ძალისხმევაში, რადგან ყველა სახელმწიფოს, მათ შორის, რაც მთავარია, მსოფლიო მასშტაბით ყველაზე მეტი ემისიების მქონეების, ჩართვა კლიმატის მმართველობაში რთულად მისაღწევია.

მულტისექტორულობა

კლიმატის პოლიტიკის მულტისექტორულობას, რაზეც დეტალურად ისაუბრა ევროკავშირის წარმომადგენლობამ, მხოლოდ მემარცხენე-ცენტრისტი პოლიტიკოსები შეეხნენ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მთელ მსოფლიოში იკვეთება ტენდენცია, რომ *„კლიმატის პოლიტიკის ცვლილება არის აუცილებელი და ეკონომიკის ყველა ძირითად სექტორს უნდა მოერგოს“*. ამასთანავე, მან გამოკვეთა მწვანე ტრანზიციის გადაუდებლობა, რადგან, *„რაც უფრო მეტად ვითარდება ეკონომიკა ტრადიციული მეთოდებით, მით უფრო დიდი ზიანი ადგება დედამიწას, რაც უკვე შესამჩნევი და საგრძნობიც არის“*.

გამომდინარე თემის პოლიტიკური სენსიტიურობიდან, რესპონდენტები ძალიან ზოგადად შეეხნენ (ჰიდრო)ენერგეტიკის სექტორის განვითარებას. ერთ შემთხვევაში, როდესაც რესპონდენტმა ნამახვანჰესის[7] გარშემო განვითარებული მოვლენები „დანაკარგად“ შეაფასა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ თემაზე არა პარტიის, არამედ თავის სუბიექტურ მოსაზრებას აფიქსირებდა:

> *(...) სუბიექტურად ვამბობ, ჩემი პოზიციით, როგორც ეკონომისტი, ეს არ არის პარტიის პოზიცია. ძალიან ცუდია, როდესაც მსხვილი ინვესტორი, როგორიც იყო ნამახვანჰესის ინვესტორი, ქვეყნიდან გადის და ასეთი ტიპის პროექტი, რომელიც განახლებადი ენერგიის კატეგორიას ეკუთვნოდა (...). აი, ასეთი მსხვილი ინვესტორი დავკარგეთ, არ შევდივარ პოლიტიკურ განხილვებში, რატომ, რისი ბრალი იყო, რა იყოს და როგორ იყო. როგორც მოცემულობა, ჩვენ ეს ინვესტორი აღარ გვყავს.*
>
> *ცენტრისტი*

პოლიტიკოსებს თითქმის საერთოდ არ უსაუბრიათ მზის, ქარისა და მწვანე წყალბადის სექტორების განვითარების პოტენციალზე, მხოლოდ ერთმა მემარცხენე-ცენტრისტმა აღნიშნა, რომ საარჩევნო პროგრამაში მზის ენერგიაზე ჰქონდა აქცენტი.

მმართველი პარტიის მხოლოდ ერთმა წევრმა, კომიტეტის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ დღეს სახელმწიფოს ყველა სტრატეგიული დოკუმენტი, რომლებიც პირდაპირ თუ

[7] მკვიდრი მოსახლეობის პროტესტის შედეგად ნამოხვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულების შეჩერება/გაუქმება.
იხ. ბმული: bit.ly/30gpIFU

ირიბად დაკავშირებულია რესურსების მდგრად მოხმარებასთან, *„უკვე დაკავშირებულია იმასთან, რასაც კლიმატის პოლიტიკა ჰქვია“*. მაგალითისთვის მან ახსენა ნიადაგის მოხმარების საკითხი სოფლის მეურნეობის სფეროში, წყლის რესურსების მოხმარება ენერგეტიკის სფეროში, ქალაქმშენებლობა გეოლოგიურ ჭრილში და სხვა:

> *მთავრობაც და საზოგადოებაც გააზრებას ვიწყებთ, რომ კლიმატი და მწვანე ეკონომიკა არ არის მხოლოდ სიტყვები. გარემო არ არის მხოლოდ ფოთლები. ეს არის ახალი რკალი ეკონომიკაში.*
>
> ***მმართველი პარტიის წარმომადგენელი***

დანარჩენ შემთხვევებში საქართველოში კლიმატის პოლიტიკა ძირითადად გარემოსდაცვით საკითხებთან იქნა დაკავშირებული და ხშირად გაიგივებულიც *„(...) კლიმატის ცვლილება ნაკლებად, მაგრამ ზოგადად გარემოს, ამ შემთხვევაში კლიმატის ცვლილების პროეცირება გადმომაქვს საქართველოში, როგორც გარემოს დაბინძურების საკითხი. შეიძლება, იქ ახლა ტემპერატურის მომატებას არ უკავშირდებოდეს, და გალობალურ დათბობას, მაგრამ, გარემო, როგორც ასეთი, ქართველებისთვის არის მნიშვნელოვანი თემა (...), კლიმატის ცვლილებას, ამ შემთხვევაში, ვგულისხმობ უკვე სუფთა გარემოს საკითხს“*, – აღნიშნავს ერთ-ერთი რესპონდენტი მმართველი პარტიიდან. კლიმატის პოლიტიკაზე რესპონდენტები ყველაზე ნაკლებად სოციალური და ადამიანების უფლებების საკითხების ჭრილში საუბრობენ.

მწვანე ზრდა და მდგრადი განვითარება

მსოფლიოში რომ მწვანე ტენდენცია იკვეთება და მდგრადი ეკონომიკის მოდელზე გადასვლა გარკვეულწილად გარდაუვალია, განსაკუთრებით ცხადად ჩანს მმართველი პარტიის წარმომადგენელი პოლიტიკოსების დისკურსებში. მათ საუბარში გამოიკვეთა, რომ აუცილებელია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს, *„რომ ეს ტრენდი ჩვენთან დამკვიდრდეს და ინვესტიციები განხორციელდეს“* და *„სახელმწიფომ უნდა წაახალისოს გარკვეული მექანიზმები და მიმართულებები, მათ შორის, ცირკულარული ეკონომიკის [...]“*.

მემარცხენე-ცენტრისტული და ცენტრისტული პარტიები თანხმდებიან, რომ საქართველოს მწირი ბუნებრივი რესურსები აქვს და ასევე არ გააჩნია განვითარებული ინდუსტრია. განვითარების კვალდაკვალ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ენერგეტიკისა და ეკონომიკის დივერსიფიკაცია. ისინი მეტწილად თანხმდებიან, რომ არსებული

ეკონომიკური მოდელი, რომელიც დაფუძნებულია წიაღისეული საწვავის მოპოვებაზე, არამდგრადია. ამიტომ საუბრისას ხაზს უსვამენ ახალი ტექნოლოგიებისა და ტენდენციების გათვალისწინების მნიშვნელობას. შესაბამისად, *„ბუნებრივია“*, ამბობს ერთ-ერთი პოლიტიკოსი, რომ *„ჩვენ ისეთი რესურსები უნდა გამოვიყენოთ, რომელიც იქნება განახლებადი, იმისთვის, რომ მდგრადობის კომპონენტი შემოვიდეს“* (ცენტრისტი, ოპოზიცია). ეს პარტიები აღნიშნავენ, რომ მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა საწყის ეტაპზე ტვირთად დააწვება ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობას. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს დადებითად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

მმართველი პარტიის პოლიტიკოსები, დაუკონკრეტებლად, ზოგადად შეეხნენ მდგრადობისა და ინკლუზიური განვითარების თემატიკას: *„ნებისმიერი განვითარება, რომელი მიმართულებითაც არ უნდა იყოს, უნდა მოიცავდეს ან თან მიჰყავდეს სხვა განზომილებები მდგრადი განვითარებისათვის, სოციალური და ეკონომიკური საკითხები და გენდერული საკითხები“*. პოლიტიკოსის აზრით, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში, სადაც სოციალური უთანასწორობის პრობლემა ძალიან მკაფიოდ დგას.

ამ მოსაზრების საპირისპიროდ, მემარჯვენე-ლიბერალური შეხედულებების პარტიის ლიდერი მიიჩნევს, რომ კლიმატის პოლიტიკის ფეხდაფეხ შეუძლებელი იქნება სიღარიბესსა და სოციალურ საკითხებთან გამკლავება: *„მწვანე პოლიტიკა თავის თავში დაბეგვრას გულისხმობს, ამ საკითხების სხვა სოციალურ თემატიკასთან თუ გენდერის საკითხებთან გაერთიანება, უფრო მეტად მძიმე ეკონომიკურ შედეგებს მოიტანს“*.

ზოგადად, მწვანე ზრდის საკითხი ნაკლებად პოპულარულია მემარჯვენე-ლიბერალური პარტიებისთვის. მათთვის ეს თემა დამატებით რეგულაციებსა და დაბეგვრასთან ასოცირდება, შესაბამისად, ისინი ეწინააღმდეგებიან ინტერვენციონისტულ პოლიტიკას და დაშვებას, რომ *„მთავრობა იმ ტიპის ღარიბ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა“*, ჩაერევა მოსახლეობის და ბიზნესის მიერ წარმოებულ საქმიანობაში, თუნდაც *„კეთილშობილური“* საბაბით. ევროკავშირის მთავარი პოლიტიკური გზავნილისგან განსხვავებით, რომელიც კლიმატის პოლიტიკასა და სწრაფ ეკონომიკურ ზრდას ერთმანეთს არ უპირისპირებს, საქართველოს მემარჯვენე-ლიბერალური პარტიები საპირისპიროს ასკვნიან და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს ეკონომიკური ზრდის ბარიერად აღიქვამენ.

ცენტრისტული და მემარცხენე-ცენტრისტული პარტიების ნაწილი კი აღნიშნავს, რომ დერეგულაციას ერთჯერადად მოაქვს ქვეყნისთვის დოვლათი, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში დანაკარგები დიდია.

2002-2012 წლებში [...] ის შედეგები, რაც დერეგულაციამ გამოიწვია, ქვეყანას დაუჯდა ძალიან ძვირი. ეს ციფრებში შეფასებულია როგორც მსოფლიო ბანკის მიერ, ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, საქართველომ ეკოსერვისების დაკარგვიდან გამომდინარე, მიიღო ძალიან დიდი ეკონომიკური ზიანი, [...] დიდი დერეგულაციის ტალღა იყო გარემოს დაცვის სფეროში, რამაც გამოიწვია ის, რომ ჩვენ კადრები დავკარგეთ, თაობა დავკარგეთ, მეცნიერები დავკარგეთ ამ მიმართულებით, რამაც კატასტროფული შედეგები მოგვიტანა. მათ შორის, ტყის რესურსებთან დამოკიდებულება იყო ძალიან მძიმე, ასევე გადაშენების პირას მყოფ სახეობებზე ნადირობის მიმართულებით, კინაღამ იქნა დაშვებული, იმიტომ რომ ეკონომიკას ხელი შეწყობოდა.

მმართველი პარტიის წარმომადგენელი

სუფთა ტექნოლოგიები და საბაზრო მექანიზმები

საკითხი, რომელიც თითქმის ყველა პარტიის წარმომადგენელს აერთიანებს, არის სუფთა ტექნოლოგიების თემა. თითქმის ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ კლიმატის კრიზისის გადასაჭრელად მნიშვნელოვანი იქნება ახალი ტექნოლოგიების განვითარება და დანერგვა. რესპონდენტების უმეტესობა სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიის სპექტრიდან ეთანხმება მოსაზრებას, რომ გვჭირდება პოლიტიკა, რომელიც სუფთა ტექნოლოგიების ინვესტიციებს წაახალისებს. ასევე აღინიშნა, რომ ახალი ტექნოლოგია, რომელიც გარემოზე ხარჯს ამცირებს და სუფთა ენერგიაზე მუშაობს, მომგებიანია გრძელვადიან პერსპექტივაში, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველ, დანერგვის ეტაპზე შეიძლება იყოს ხარჯები.

მმართველი და ცენტრისტული პარტიების ხედვაში გამოიკვეთა განახლებადი ენერგიის, ძირითადად ჰიდროენერგიის განვითარებისთვის, ინვესტიციების მოზიდვის და ზოგადად სახელმწიფო დონეზე სწორი საინვესტიციო პოლიტიკის წარმართვის აუცილებლობა. ზემოთქმულთან დაკავშირებით, ოპოზიციურ-ცენტრისტული პარტიის წარმომადგენელმა ქვეყანაში სუფთა ტექნოლოგიების მიმართულებით საინვესტიციო პოლიტიკის არარსებობა სერიოზულ გამოწვევად დაასახელა. მან გამოკვეთა ბარიერებიც, კონკრეტულად ის, რომ საქართველოში *„საკანონმდებლო დონეზეც კი, არათუ წახალისება [ხდება], არამედ ხელის შემშლელი ფაქტორები არსებობს (...), დაუხვეწავია, გაუაზრებელია საქართველოს პოლიტიკა ამ მწვანე ეკონომიკასთან, სუფთა ტექნოლოგიებთან მიმართებაში და მდგრადობის კომპონენტთან მიმართებაში, რომ კანონმდებლობა ვერ და არ მოერგო“.*

ამ საკითხის შესახებ განსხვავებული ხედვა აქვს ოპოზიციურ მემარჯვენე-ლიბერალურ პარტიას. მისი ლიდერი უკიდურესად მნიშვნელოვნად მიიჩნევს ტექნოლოგიების როლს კლიმატთან დაკავშირებული ყველა პოტენციური რისკის შემცირებაში, თუმცა ამ ტექნოლოგიების განვითარებისთვის, გადამწყვეტ ფაქტორად თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას ასახელებს, რის შედეგადაც ქვეყანაში ეკონომიკური დოვლათი დაგროვდება. კეთილდღეობის ზრდა და დოვლათის დაგროვება, შესაბამისად, ხელს უწყობს მეცნიერულ პროგრესს, რომელიც, თავის მხრივ, ტექნოლოგიური განვითარებისთვისაა საჭირო. მაგალითისთვის მას მოჰყავს ელექტრომანქანები, რომელიც *„განვითარდა სწორედ იმ კაპიტალისტური წყობის და თავისუფალი ეკონომიკის პროდუქტების შედეგად და არა დაძალების და რეგულაციის შედეგად“*. აქ უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკოსი ნაკლებად შეეხო კონკრეტულად საქართველოში სუფთა ტექნოლოგიის განვითარებისა თუ დანერგვის შესაძლებლობებსა და გამოწვევებს. მან ზოგადად ისაუბრა ამ საკითხზე:

> *კაპიტალისტური, ბურჟუაზიული, თავისუფალი საზოგადოების განვითარება არის წინაპირობა იმ ტექნოლოგიების შექმნის, რომელიც შემდეგ დამოკიდებულს არ გაგვხდის, ნაკლებად დამოკიდებულს გაგვხდის წიაღისეულზე და მოგვცემს შესაძლებლობას, რომ გარემო დავაზიანოთ ნაკლებად ან საერთოდ არ დავაზიანოთ.*
>
> ***მემარჯვენე ლიბერალი***

რაც შეეხება ევროკავშირისთვის ძალიან აქტუალურ *„ნახშირბადით ვაჭრობის“* თემას, უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს არ უსაუბრია ემისიებით ვაჭრობაზე. ამ თემაზე დაისვა მხოლოდ შეკითხვები მათი მხრიდან, რადგანაც ბევრმა მათგანმა პირველად გაიგო ემისიებით ვაჭრობის შესახებ და ბევრმა არ იცოდა, რომ მაგალითისთვის 2021 წლის ოქტომბერს საქართველოსა და შვეიცარიას შორის ხელი მოეწერა მთავრობათაშორის ხელშეკრულებას (BAFU, 2021) რომლის თანახმადაც შვეიცარია საქართველოში განახორციელებს ემისიების შემცირებასთან დაკავშირებულ პროექტებს (ძირითადად ენერგოეფექტურობის მიმართულებით), შედეგად კი, საქართველოში შემცირებული ემისიებით შვეიცარია მიტიგაციის ეროვნულ ვალდებულებებს შეიმცირებს.

შესაძლებლობები და ბენეფიტები

ევროკავშირის პოლიტიკოსები ხშირად საუბრობენ კლიმატის პოლიტიკასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებზე, როგორც ეკონომიკურად და სოციალურად მოგებიან ხედვაზე. ამ შეხედულებას გარკვეულწილად იზიარებენ პოლიტიკოსები მემარცხენე-ცენტრისტული პარტიებიდან. მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის პოლიტიკის გატარება თავდაპირველად შეიძლება გარკვეულ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული, ისინი თვლიან, რომ ეს მოგებიანი იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში. მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება ჯერ კიდევ განვითარებად ქვეყანას – საქართველოს.

მემარცხენე-ცენტრისტული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის აზრით, საქართველოში ამჟამად *„არ გვაქვს არაფერი“*, ამიტომ ახლის დამკვიდრებისას საჭიროა *„ბარემ იმ მეთოდებით [განვითარდეთ], რომელიც დაიცავს ამ ეკოლოგიურ და გარემოს დაცვის სტანდარტებს და რომელიც არის რეალურად მომავლის ტექნოლოგიები“*. მსგავსი მოსაზრება ჰქონდა ერთ-ერთი ცენტრისტული პარტიის ლიდერს:

> *ჩვენ რაღაც გამოვტოვეთ, დასავლეთთან შედარებით [...]. შესაბამისად, შეგვიძლია [...] იგივე შეცდომები გამოვტოვოთ და პირდაპირ დავნერგოთ მწვანე ეკონომიკის ყველა მიმართულება. ეს შესაძლებლობა მათზე მეტად გვაქვს, ვინც სხვა მიმართულება აირჩია და განვითარებულ ქვეყნებთან შედარებითაც კი, იქიდან გამომდინარე, რომ არ გაგვიკეთებია და არ გაგვივლია გზა განვითარების იმ მომენტამდე. ამიტომ უფრო მეტი შესაძლებლობა გაქვს [...].*
>
> *ცენტრისტი*

პოლიტიკოსი ოპოზიციონური ცენტრისტული პარტიიდან მიიჩნევს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში კლიმატისა და ენერგოეფექტურობის პოლიტიკის გატარება მოგებიანი იქნება როგორც ქვეყნისთვის, ასევე ბიზნესებისთვის, რადგან შემცირდება ხარჯები და გაიზრდება მათი კომერციული მიმზიდველობა. მიუხედავად ამისა, მას ძნელად წარმოუდგენია, არსებულ ვითარებაში ბიზნესმა მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა თავისთავად მოახერხოს, რადგან ახალი ტექნოლოგიების დამკვიდრება ჯერ კიდევ ძალიან ძვირია და დაკავშირებულია დიდ კაპიტალურ ხარჯებთან. *„კომპანიებს შეიძლება ძალიან უნდოდეთ“* და დაინტერესებულნიც იყვნენ ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, თუმცა ამ ტექნოლოგიების გამოყენებას მოჰყვება სერვისის გაძვირება, რაც, საბოლოო ჯამში, პრობლემურს ხდის ამ ნაბიჯის გადადგმას.

მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როდესაც მემარჯვენე-ლიბერალური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ეკონომიკის დეკარბონიზაციის ბენეფიტებზე ისაუბრა, კერძოდ კი, აღნიშნა, რომ ევროპის რუსეთის წიაღისეულ რესურსებზე დამოკიდებულების შემცირება და, შესაბამისად, რეგიონში რუსეთის გავლენების შემცირება, საქართველოსთვისაც ძალიან კარგი იქნება.

პოსტპანდემიური კრიზისიდან გამოსვლა

ევროკავშირის ქვეყნები თანხმდებიან, რომ პოსტპანდემიური კრიზისი ე.წ. მწვანე აღ-დგენის (Green Recovery) გზით უნდა დაიძლიოს (Next Generation EU, MFF 2027). ეს საკითხი საქართველოში აქტიურად არ განიხილება. საინტერესოა, რომ იმ პოლიტიკოსთა მოსაზ-რებები, ვინც ამ საკითხს შეეხო, საკმაოდ პოლარიზებული აღმოჩნდა.

მემარცხენე-ცენტრისტი და ცენტრისტი პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მოკლევადიანი კრიზისის გადაჭრის გზები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გრძელვადიანი კრიზისის გადაჭრისთვის აუცილებელი მიზნების შესრულებას. როგორც ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, *„კატეგორიულად მიუღებელია, გარკვეული სხვა ფაქტორების გამო, სტრა-ტეგიულ ხედვაზე, ისეთზე, როგორიცაა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია, უარის თქმა [...], არ შეიძლება, რაღაც ახალი პრობლემის გამო უარი ვთქვათ გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებაზე, რაც მწვანე ზრდის განუყოფელი ნაწილია“*. შესაბამი-სად, პოლიტიკოსები დასაშვებად მიიჩნევენ კრიზისის დაძლევის კვალდაკვალ მწვანე პოლიტიკის გაძლიერებას. მმართველი პარტიის წარმომადგენელი აღნიშნავს:

> *და ვფიქრობ, რომ ახლა არის ზუსტად კარგი დრო იმისთვის, რომ ეს მწვანე პოლიტიკა ჩაისახოს, (...) კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას ამ მიმართუ-ლებით. ჩვენ ვხედავთ, რომ თუნდაც ევროკავშირში ამ მიმართულებით უკვე დაიწყეს ფიქრი.*
>
> ***მმართველი პარტიის წარმომადგენელი***

ცენტრისტული პარტიის წარმომადგენლის აზრით, საქართველოში ე.წ. მწვანე აღდგენის პოლიტიკა უნდა შეეხოს იმ *„უპირატოსობას“*, რაც საქართველოს აქვს. კონკრეტულად, განახლებადი ენერგიის წყაროებს და ახალი ტექნოლოგიებით სოფლის მეურნეობის განვითარებას, რათა ქვეყანამ შეძლოს მეტად ჯანსაღი პროდუქციის წარმოება, *„რომ ჩვენი თავი მსგავს კრიზისულ პირობებში მაინც გადავირჩინოთ“*:

გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის განვითარებისთვის, მათ შორის, ეკონომიკური განვითარებისთვის, კლიმატის ცვლილების საკითხი პრიორიტეტული საკითხია და ეს პრიორიტეტულობა არ უნდა დაიკარგოს მოკლევადიანი, ასევე მნიშვნელოვანი მიზნებიდან გამომდინარე.

მმართველი პარტიის წარმომადგენელი

რადიკალურად განსხვავებულია ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი მემარჯვენე-ლიბერალური პარტიის ლიდერი პოლიტიკოსის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ პოსტპანდემიური კრიზისის დაძლევის პოლიტიკაში მწვანე საკითხების ინტეგრაცია კრიზისის უფრო გამწვავებას გამოიწვევს, რომ მწვანე პოლიტიკის განვითარებას ექნება პანდემიის დროს არსებული შეზღუდვების მსგავსი ეფექტი.

და უშუალოდ როცა ადამიანები იღუპებიან და შენ, 50 წლის მერე, რომ არ იცი ჯერ ზუსტად, რაღაც კრიზისი უნდა დაგიდგეს, იმის შესახებ ადამიანური არ არის, რომ ინერვიულო.

მემარჯვენე ლიბერალი

დასკვნა

კვლევის მთავარი **მიზანი** იყო კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შესახებ საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების ლიდერების ხედვებისა და მოსაზრებების ანალიზი ევროინტეგრაციის ჭრილში. ნაშრომის **პირველ ნაწილში** მიმოვიხილეთ ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკა საერთაშორისო და სამეზობლო ურთიერთობების პერსპექტივაში. ასევე, ევროკავშირის წარმომადგენლებისა და ექსპერტების ინტერვიუებზე დაყრდნობით გამოვკვეთეთ ის ძირითადი პოლიტიკური დისკურსები და მექანიზმები, რომლითაც ევროკავშირი ხელს უწყობს მეზობელი და ასოცირებული ქვეყნების „გამწვანებას". **კვლევის მეორე ეტაპზე** კი გავაანალიზეთ მე-10 მოწვევის პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების ლიდერების შეხედულებები, ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკის პრიორიტეტულ თემებთან მიმართებით.

თვისებრივი ანალიზის ძირითადი მიგნებები:

იკვეთება, რომ „ევროპის მწვანე შეთანხმების" შემდგომ პერიოდში, ევროპეიზაციის ერთ-ერთი მთავარი და პრიორიტეტული მიმართულება მეზობელი ქვეყნების „გამწვანება" და დაბალნახშირბადიანი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა გახდა. შესაბამისად, საქართველოსთვის, როგორც ასოცირების ხელშეკრულების ხელმომწერი და ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყნისთვის, მნიშვნელოვანია პოლიტიკურ დღის წესრიგში ევროკავშირის გრძელვადიანი დაბალნახშირბადიანი განვითარების ხედვის გათვალისწინება.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ევროკავშირი საქართველოსთან მიმართებით „მწვანე" ევროპეიზაციის **პირობითობას** საგრძნობლად გააძლიერებს. კონკრეტულად, აქტიურად იქნება გამოყენებული (მწვანე) ფინანსებსა და ინსტიტუციური/საკანონმდებლო ცვლილებების წახალისებასთან დაკავშირებული პირობითობა. რაც შეეხება **სოციალიზაციას**, რომელიც მოსახლეობისა და პოლიტიკური კლასის მიერ ევროკავშირისეული კლიმატის პოლიტიკის ძირეული ხედვების და დისკურსების გაზიარების ხელშეწყობას გულისხმობს, ძირითადად გამოყენებული იქნება საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რათა როგორც ამომრჩეველმა, ასევე პოლიტიკოსებმა კარგად გაიაზრონ საქართველოში არსებული კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები და ახალი ტიპის ეკონომიკაზე ტრანზიციის პროცესში არსებული შესაძლებლობები.

ქართველი პოლიტიკოსები თანხმდებიან, რომ კლიმატის ცვლილება არის რეალური გამოწვევა მსოფლიოსთვის *და არ შეაქვთ ეჭვი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მეცნიერული ფაქტების ლეგიტიმურობაში.* ევროკავშირისეული ხედვის მსგავსად, არცერთი რესპონდენტი არ უარყოფს, რომ თანამედროვე კლიმატის ცვლილება მართლაც პრობლემაა და გამოწვეულია ადამიანის საქმიანობით. მიუხედავად ამისა, საქართველოსთვის საკითხის მნიშვნელობაზე, გადაუდებლობასა და პრიორიტეტულობაზე (სხვა სახელმწიფოებრივ გამოწვევებთან მიმართებით), პარტიების შეხედულებები განსხვავდება.

საქართველოში, ევროკავშირთან ასოცირების ხელმომწერ და ენერგეტიკული გაერთიანების (EnC) წევრ ქვეყანაში, რომელის პოლიტიკური განაცხადი და ნებაა გახდეს ევროკავშირის წევრი, კლიმატის პოლიტიკა უმეტესწილად ევროკავშირის, შესაბამისად, ასევე, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და სხვა დასავლელი პარტნიორების, რომლებიც ევროკავშირის პოლიტიკას უჭერენ მხარს, გავლენით იგეგმება და ხორციელდება. ამასთანავე, საინტერესოა, რომ ის პარტიებიც კი, რომლებიც კლიმატის ცვლილებას ამჟამინდელი მოცემულობით საქართველოსთვის არარელევანტულ საკითხად აღიქვამენ, მიიჩნევენ, რომ *თუ ევროკავშირისგან პირობითობის მექანიზმები იქნება გამოყენებული, გარკვეული ქმედებების იმპლემენტაცია მაინც მოუწევთ,* ანუ პარტიის ხედვასა და იდეოლოგიასთან შეუთავსებლობის მიუხედავად, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნება ევროკავშირის კლიმატის ცვლილების პოლიტიკასთან დაკავშირებული პირობები და შემოთავაზებები.

ევროკავშირის წევრი ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში კლიმატის პოლიტიკა არათუ ყველა, არამედ არცერთი პარტიის „მეინსტრიმ“-თემა არაა. ზოგადად, ინტერვიუების ანალიზიდან იკვეთება, რომ შედარებით ამბიციური კლიმატის პოლიტიკის მომხრეები არიან მემარცხენე-ცენტრისტული და ცენტრისტული პარტიები, მაგრამ ეს პარტიებიც ამ პოლიტიკის წარმატებულად განხორციელების პერსპექტივას მაშინ ხედავენ, თუკი საკმარისი ინტერესი, ტექნიკური და ფულადი დახმარება წამოვა ევროკავშირიდან. ხოლო მემარ-ჯვენე-ლიბერალები კლიმატის პოლიტიკასთან დაკავშირებულ რეგულაციებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების შემაფერხებლად მიიჩნევენ.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ პოლიტიკურ ელიტას ნაკ-ლებად აქვს სიღრმისეულად გააზრებული ის კონკრეტული *რისკები,* რომლის წინაშეც ქვეყანა კლიმატის ცვლილების შედეგად დგას და ის კონკრეტული *შესაძლებლობები,* რაც მას მწვანე ეკონომიკაზე დროულად გადასვლამ შე-იძლება მოუტანოს. განსაკუთრებით საყურადღებოა საკმაოდ დიდი და წამო-მადგენლობითი ოპოზიციური პარტიების განწყობა, რომლებიც დაუსრულებე-ლი პოლიტიკური კრიზისის და ბოიკოტის შედეგად, კლიმატის ცვლილებისა და ეკონომიკის დეკარბონიზაციის პოლიტიკასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებსა და მნიშვნელოვნებაზე არ არიან კარგად ინფორმირებული. არსე-ბობს რისკი, რომ მათი თანამონაწილეობისა და ჩართულობის გარეშე, ის ცვლილებები, რომლებიც კლიმატის პოლიტიკასთან დაკავშირებით იქნა და იქნება მიღებული, მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში აღარ იქნეს მხარდაჭერილი.

ქართულ პოლიტიკურ ელიტაში ***კლიმატის ცვლილების პოლიტიკა უმეტესწილად ასოცირებულია „სუფთა გარემოს“ საკითხთან და ნაკლებად – ეკონომიკასა და სოციალურ საკითხებთან.*** შესაბამისად, შედარებით ნაკლებად გამოიკვეთა კლიმატის პოლიტიკის მულტისექტორულობა, რაც ევროკავშირის წარმომადგენლების დისკურსში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ქართველი პოლიტიკოსების უმეტესობა აღნიშნავდა, რომ კლიმატის პოლიტიკა დღეს იმიტომ არ არის აქტუალური, რომ ის არაა დაკავშირებული მოსახლეობის ე.წ. ბაზისურ მოთხოვნებთან. ეს ნარატივი წინააღმდეგობაშია ევროკავშირის პოლიტიკური ლიდერების აქცენტებთან, რომლებიც კლიმატის პოლიტიკას ყოველი ადამიანის „ბაზისურ მოთხოვნებთან“ აკავშირებენ, იქნება ეს ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, ეკონომიკა თუ გენდერული თანასწორობა.

კვლევამ ცხადყო, რომ ***ქართველი პოლიტიკოსებისა და ევროკავშირის ხედვები ყველაზე მეტად ახლოვდება სუფთა ტექნოლოგიების საკითხში.*** რესპონდენტებმა ყველა იდეოლოგიური პოლიტიკური სპექტრიდან აღნიშნეს, რომ ტექნოლოგიური წინსვლა აუცილებელი წინაპირობაა კლიმატის პრობლემის გადაჭრისას. მიუხედავად ამისა, ნაკლებად გამოიკვეთა ქართველი პოლიტიკოსების კონკრეტული ხედვები, თუ რომელი ტექნოლოგიური საშუალებები შეიძლება შემოვიდეს და დაინერგოს საქართველოში, ან რა სექტორებში იქნება გამოყენებული და რა სახის რისკებს შეამცირებს ეს ტექნოლოგიები.

გამომდინარე თემის პოლიტიკური სენსიტიურობიდან, რესპონდენტები ძალიან ზოგადად შეეხნენ **(ჰიდრო)ენერგეტიკის სექტორის** განვითარებას. პოლიტიკოსებს თითქმის საერთოდ არ უსაუბრიათ მზის, ქარისა და მწვანე წყალბადის სექტორების განვითარების პოტენციალზე, მხოლოდ ერთმა მემარცხენე-ცენტრისტმა ახსენა, რომ საარჩევნო პროგრამაში მზის ენერგიაზე ჰქონდა აქცენტი.

ყველაზე პოლარიზებული საკითხი, რომელზეც განსაკუთრებით გაიყო აზრი პარტიებს შორის, იყო ***პოსტპანდემიური კრიზისის დაძლევის ევოკავშირისეული ხედვა, ე.წ. მწვანე აღდგენა.*** მემარცხენე-ცენტრისტი და ცენტრისტი პარტიები მიიჩნევდნენ, რომ აუცილებელია მოკლევადიანი კრიზისის დაძლევისას თან გავითვალისწინოთ გრძელვადიანი მიზნები. ხოლო მემარჯვენე ლიბერალი პოლიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ეს კრიზისიდან გამოსვლას შეაფერხებს და შესაძლოა უარესი ეკონომიკური შედეგიც გამოიღოს.

ევროკავშირის ქვეყნებში ხშირად პოლიტიკოსების განხილვის საგანი, ნახშირბადით ვაჭრობა, ქართველი პოლიტიკოსებისთვის ჯერ კიდევ უცხო და გაუგებარი თემაა, თითქმის არცერთი რესპონდენტი არ იყო ინფორმირებული საკითხის არსზე. ასევე, არ ჰქონდათ გააზრებული, ნახშირბადით ვაჭრობის რა მექანიზმები და პრაქტიკები არსებობს და, შესაბამისად, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს საქართველოსთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

დურგლიშვილი ნინო, & კეჭაყმაძე ივანე. (2020). *რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა კლიმატის ცვლილების შესახებ* [რაოდენობრივი კვლევა]. ევროკავშირი (EU); გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

მელაძე თამარ. (2016, November 4). პოლიტიკური კულტურა, როგორც ეროვნული დეფიციტი. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-tamar-meladze-politikuri-kultura/28124002.html

სამხარაძე ირაკლი. (2021, September 27). ევროპის მწვანე შეთანხმება—გარემოსდაცვითი ღონისძიება თუ მეორე ინდუსტრიული რევოლუცია? Climate Basics. https://www.climatebasics.info/post/ევროპის-მწვანე-შეთანხმება-გარემოსდაცვითი-ღონისძიება-თუ-მეორე-ინდუსტრიული-რევოლუცია

სამხარაძე ირაკლი, ჭითანავა მაკა, ჯანაშია ნინო, & ვარდოსანიძე ქეთევან. (2021). *კლიმატის ცვლილების შერბილების პოლიტიკის გავლენა შრომის ბაზარზე: კონტექსტი, სამომავლო განვითარების შესაძლო სცენარები და რეკომენდაციები—საქართველოს მაგალითი* [Brief Research Paper]. NNLE Climate Basics.

Aamodt, S. (2018). Environmental Ministries as Climate Policy Drivers: Comparing Brazil and India. *The Journal of Environment & Development,* 27(4), 355–381. https://doi.org/10.1177/1070496518791221

Bäckstrand, K., & Elgström, O. (2013). The EU's role in climate change negotiations: From leader to 'leadiator.' *Journal of European Public Policy,* 20(10), 1369–1386. https://doi.org/10.1080/13501763.2013.781781

BAFU. (2021, October 18). *Climate protection: Switzerland signs agreement with Georgia.* Federal Office for the Environment FOEN. https://www.bafu.admin.ch/bafu/en/home/documentation/news-releases/anzeige-nsb-unter-medienmitteilungen.msg-id-85477.html?fbclid=IwAR1We9yVHslZOkAl6aCVjuwynLZ2mlJZAkbjgabfry6sHhPyJzvzL7fbDvA

Börzel, T. A. (2015). *Building Sand Castles? How the EU Seeks to Support the Political Integration of its New Members, Accession Candidates and Eastern Neighbours* (No. 9; MAXCAP Working Paper Series). "Maximizing the integration capacity of the European Union: Lessons of and prospects for enlargement and beyond" (MAXCAP). https://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/system/files/maxcap_wp_09_4.pdf

Carter, B., & Charles, N. (2009). Society, Nature and Sociology. *The Sociological Review,* 57(2_suppl), 1–20. https://doi.org/10.1111/j.1467-954X.2010.01883.x

Christoff, P. (2010). Cold climate in Copenhagen: China and the United States at COP15. *Environmental Politics,* 19(4), 637–656. https://doi.org/10.1080/09644016.2010.489718

Clark, P. (2021, October 31). COP26: How green politics went mainstream. *Financial Times.* https://www.ft.com/content/96ba66f7-c143-4cb8-a0ed-8f238490ebc6

Crawford, G. (2001). *Foreign Aid and Political Reform: A Comparative Analysis of Democracy Assistance and Political Conditionality.* Palgrave.

CRRC. (n.d.). *Caucasusbarometer.org | Online Data Analysis*. Retrieved December 23, 2021, from https://caucasusbarometer.org/en/

Dovers, S. R. (1996). Sustainability: Demands on Policy. *Journal of Public Policy,* 16(03), 303. https://doi.org/10.1017/S0143814X00007789

Dryzek, J. S., Hunold, C., Schlosberg, D., Downes, D., & Hernes, H.-K. (2002). Environmental Transformation of the State: The USA, Norway, Germany and the UK. *Political Studies,* 50(4), 659–682. https://doi.org/10.1111/1467-9248.00001

Eastern European Centre for Multiparty Democracy (EECMD). (n.d.). *Partiebi.ge*. Retrieved December 19, 2021, from https://partiebi.ge/2021/eng/home

Eckersley, R. (2017). Geopolitan Democracy in the Anthropocene. *Political Studies,* 65(4), 983–999. https://doi.org/10.1177/0032321717695293

European Commission. (n.d.-a). *A European Green Deal* [Text]. European Commission - European Commission. Retrieved November 28, 2021, from https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_en

European Commission. (n.d.-b). *Recovery plan for Europe* [Text]. European Commission - European Commission. Retrieved December 20, 2021, from https://ec.europa.eu/info/strategy/recovery-plan-europe_en

European Commission. (2021a, March 19). *New €79.5 billion NDICI-Global Europe to support EU's action* [Text]. European Commission - European Commission. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_21_1267

European Commission. (2021b, June 9). *Final adoption of EU external action budget for 2021-2027* [Text]. European Commission - European Commission. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_21_2885

European Investment Bank. (2020). *EIB Group Climate Bank Roadmap 2021-2025.* Publications Office. https://data.europa.eu/doi/10.2867/503343

Evans, J. (2012). *Environmental Governance* (1. ed). Routledge.

Graham-Harrison, E. (2019, June 2). A quiet revolution sweeps Europe as Greens become a political force. *The Observer.* https://www.theguardian.com/politics/2019/jun/02/european-parliament-election-green-parties-success

Hajer, M. A. (1995). *The Politics of Environmental Discourse: Ecological Modernization and the Policy Process. Clarendon Press;* Oxford University Press.

Hausknost, D., & Hammond, M. (2020). Beyond the environmental state? The political prospects of a sustainability transformation. *Environmental Politics,* 29(1), 1–16. https://doi.org/10.1080/09644016.2020.1686204

Hopkins, D. M. (2013). *The Social Phenomenon of Climate Change: Contextual Vulnerability, Risk Perception and Adaptation in the Ski Industry of Queenstown, New Zealand* [PhD Thesis]. University of Otago.

Hulme, M. (2013). *Why We Disagree About Climate Change Understanding Controversy, Inaction and Opportunity.*

IPCC. (2014). *Climate Change 2014: Synthesis Report. Contribution of Working Groups I, II and III to the Fifth Assessment Report of the Intergovernmental Panel on Climate Change.* IPCC.

IPCC. (2018). *Summary for Policymakers—Global Warming of 1.5°C.* https://www.ipcc.ch/sr15/chapter/spm/

IPCC. (2021). *Summary for Policymakers. In: Climate Change 2021: The Physical Science Basis. Contribution of Working Group I to the Sixth Assessment Report of the Intergovernmental Panel on Climate Change.*

Jacquot, S., & Woll, C. (2003). Usage of European Integration—Europeanisation from a Sociological Perspective. *EIoP European Integration Online Papers,* 7(12), 1–18.

Juncos, A. E., & Pomorska, K. (2006). Playing the brussels game: Strategic socialisation in the CFSP council working groups. *European Integration Online Papers,* 10, 1–17.

Kakhishvili, L., Keshelava, D., Papava, G., & Sichinava, D. (2021). *Georgia's Political Landscape: Diversity, Convergence and Empty Spots.* Friedrich-Ebert-Stiftung South Caucasus Office.

Koch, S. (2015). A Typology of Political Conditionality Beyond Aid: Conceptual Horizons Based on Lessons from the European Union. *World Development, 75,* 97–108. https://doi.org/10.1016/j.worlddev.2015.01.006

Krouwel, A., Kutiyski, Y., Papava, G., Keshelava, D., Chitanava, M., Sichinava, D., & Kakhishvili, L. (2021). *Election Compass Georgia 2020* [..Sav,.sps,.dat,.csv,.xlsx]. Kieskompas. https://doi.org/10.17026/DANS-XMH-6U66

Ladrech, R. (2010). *Europeanization and National Politics.* Palgrave Macmillan.

Machin, A. (2020). Democracy, disagreement, disruption: Agonism and the environmental state. Environmental Politics, 29(1), 155–172. https://doi.org/10.1080/09644016.2019.1684739

Oberthür, S., & Roche Kelly, C. (2008). EU Leadership in International Climate Policy: Achievements and Challenges. *The International Spectator,* 43(3), 35–50. https://doi.org/10.1080/03932720802280594

Pataraia, T., Bekʻišvili, N., Kopaliani, D., & Absanże, I. (Eds.). (2013). *საქართველო: მწვანე პოლიტიკის ისტორია / Georgia: History of green politics.* Hainrih Biolis pʻondis Samxretʻ Kavkasiis regionuli biuro.

Radaelli, C. M. (2003). The Europeanization of Public Policy. In K. Featherstone & C. M. Radaelli (Eds.), *The Politics of Europeanization* (pp. 27–56). Oxford University Press. https://doi.org/10.1093/0199252092.003.0002

Saurugger, S., & Mérand, F. (2010). Does European integration theory need sociology? *Comparative European Politics,* 8(1), 1–18. https://doi.org/10.1057/cep.2010.1

Schimmelfennig, F. (2010). The Normative Origins of Democracy in the European Union: Toward a Transformationalist Theory of Democratization. *European Political Science Review,* 2(2), 211–233. https://doi.org/10.1017/S1755773910000068

Schimmelfennig, F., & Sedelmeier, U. (2004). Governance by conditionality: EU rule transfer to the candidate countries of Central and Eastern Europe. *Journal of European Public Policy,* 11(4), 661–679. https://doi.org/10.1080/1350176042000248089

Schimmelfennig, F., & Sedelmeier, U. (Eds.). (2005). *The Europeanization of Central and Eastern Europe.* Cornell University Press.

Schimmelfennig, F., & Sedelmeier, U. (2020). The Europeanization of Eastern Europe: The external incentives model revisited. *Journal of European Public Policy,* 27(6), 814–833. https://doi.org/10.1080/13501763.2019.1617333

Schmidt, V. A., & Radaelli, C. M. (2004). Policy Change and Discourse in Europe: Conceptual and Methodological Issues. *West European Politics,* 27(2), 183–210. https://doi.org/10.1080/0140238042000214874

Sedelmeier, U. (2011). Europeanisation in New Member and Candidate States. *Living Reviews in European Governance,* 6. https://doi.org/10.12942/lreg-2011-1

Tsuladze, L., Esebua, F., Kakhidze, I., Kvintradze, A., Osepashvili, I., & Amashukeli, M. (2016). *Performing Europeanization – Political vis-à-vis Popular Discourses on Europeanization in Georgia.* Publishing House "Nekeri."

Tsuladze, L., Esebua, F., & Osepashvili, I. (2021). *Post-Visa Liberalization Discourses on Georgia's Europeanization.*

van Schaik, L., & Schunz, S. (2012). Explaining EU Activism and Impact in Global Climate Politics: Is the Union a Norm- or Interest-Driven Actor?: EU activism and impact in global climate politics. JCMS: *Journal of Common Market Studies,* 50(1), 169–186. https://doi.org/10.1111/j.1468-5965.2011.02214.x

Victor, D. G. (2011). *Global warming gridlock creating more effective strategies for protecting the planet.* Cambridge University Press.

Walker, H., & Biedenkopf, K. (2018). The historical evolution of EU climate leadership and four scenarios for its future. In *EU climate diplomacy: Politics, law and negotiations* (pp. 33–46). Routledge, Taylor & Francis Group.

Willis, R. (2018). How Members of Parliament understand and respond to climate change. *The Sociological Review,* 66(3), 475–491. https://doi.org/10.1177/0038026117731658

Willis, R. (2020). The role of national politicians in global climate governance. *Environment and Planning E: Nature and Space,* 3(3), 885–903. https://doi.org/10.1177/2514848619887464